ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"+
ჩარლი ჩაპლინი
8 ლარი
11 ოქტომბრიდან




პარასკევი, 14 ოქტომბერი, 2011 №244 (5624) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაზე ნადირობა კახეთიდან დაიწყო გვ.2

ივანიშვილის ფონდის ხელმძღვანელის მამა სამსახურიდან გაათავისუფლეს, სიმამრი კი დაიჭირეს


გვ.3

## გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს"


გვ.3

## ძამბოლატ თედეევი ცხინვალიდან გააძევეს

კოკოითი გამარჯვებული დარჩა?


გვ.6

## ბოკერია-უგულავას გუნდი ნაციონალურ მოძრაობას ტოვებს?

## ხელისუფლებამ უკან დაიხია

რატომ აღარ დაუშვებენ ეროვნულ პარკებში ნადირობას


გვ.4

## მამუკა კაციტაძე: „ამომრჩეველთა მარკირების გაუქმება დაუშვებელია"

გვ.5




გვ.7

## გიორგი თავდგირიძე: „საფრანგეთის შუამავლობით რუსეთთან ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ"

## გაფრინდაშვილი ივანიშვილთან მოლაპარაკებებს არ აპირებს


გვ.2

## მოაკვლევინებენ თუ არა სააკაშვილ-მერაბიშვილი ციხეში სომეხ პატიმარს?

გვ.5

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 როდის და რომელ არხზე გამოჩნდება ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ეთერში

4 დემოკრატიული მოძრაობა „თრიალეთის" დამფუძნებელს სოლიდარობას უცხადებს

7 ლალიძის ივანიშვილთან კითხვები გაუჩნდა

6 მზადდება თუ არა ხელისუფლების ხავერდოვანი გადაცემა — „ვარდების რევოლუცია-2"?

# ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაზე ნადირობა კახეთიდან დაიწყო

## ივანიშვილის ფონდის ხელმძღვანელის მამა სამსახურიდან გაათავისუფლეს, სიმამრი კი დაიჭირეს

**ბიძინა ივანიშვილის გამო კახეთში დიდი ამბებია. როგორც ჩანს, ივანიშვილთან დაკავშირებულ ადამიანებზე ნადირობა ხელისუფლებამ სწორედ ამ რეგიონიდან დაიწყო. ივანიშვილთან დაახლოებული პირების სამსახურიდან გათავისუფლებისა და მეტიც, დაკავების შესახებ ინფორმაციას „კახეთის საინფორმაციო ცენტრისა“ და ინტერნეტგამოცემა „ქიზიყის“ წარმომადგენლები ავრცელებენ.**



შალვა ჯოხაძე

სამართალდამცავებმა თბილისში კახეთის პოლიციის ყოფილი უფროსი თამაზ თამაზაშვილი დააკავეს. დაკავების დროს თამაზ თამაზაშვილის ავტომანქანიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. მისი დაპატიმრებიდან მოკლე ხანში თამაზაშვილის სახლში, რომელიც დედოფლისწყაროში, ძნელაძის ქუჩაზე მდებარეობს, ჩხრეკა ჩატარდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ჩხრეკა ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს.

„პოლიციამ თამაზაშვილის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკა და, როგორც ვიცით, იარაღი იქიდანაც ამოიღეს. ჩაუდებდნენ, რა, გაუჭირდებოდათ თუ?“ – აღნიშნა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამილა გურაშვილმა.

ცნობისათვის, თამაზ თამაზაშვილი, მეტსახელად „ძიგო“ 1997–2000 წლებში დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო შს კახეთის სამხარეო პოლიციას 2000-2002 წლებში ხელმძღვანელობდა.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა შუაშია ამ დაკავებასთან ბიძინა ივანიშვილი. საქმე ისაა, რომ თამაზ თამაზაშვილის სიძე, ქალიშვილის ქმარი, ირაკლი ღარიბაშვილი, ბიძინა ივანიშვილის ფონდის ხელმძღვანელია.

თამაზ თამაზაშვილის დაკავებასთან ერთად, სამსახურიდან გაათავისუფლეს ირაკლი ღარიბაშვილის მამა ტარიელ ღარიბაშვილიც. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის (ყოფილი წითელწყარო) ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ტარიელ ღარიბაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება საკუთარი ხელით დაწერა. „ქიზიყის“ ცნობით, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ღარიბაშვილის განცხადება უკვე დააკმაყოფილა. „კახეთის საინფორმაციო ცენტრთან“ საუბრისას კი ეს ფაქტი თვით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა დაადასტურა. მისი თქმით, ტარიელ ღარიბაშვილმა განცხადება ოჯახური პირობების გამო დაწერა და ის მაშინვე დაუკმაყოფილეს.

ტარიელ ღარიბაშვილის ვაჟი ირაკლი ღარიბაშვილი რომ ბიძინა ივანიშვილის ფონდის თავმჯდომარეა, ამის შესახებ ბევრისათვის იყო ცნობილი. ამიტომაც დედოფლისწყაროში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ საჯარო სამსახურიდან წასვლა ღარიბაშვილს ივანიშვილთან სიახლოვის გამო აიძულეს.

ტარიელ ღარიბაშვილთან დაკავშირებით ერთ ფაქტს შეგახსენებთ. რამდენიმე თვის წინ ტარიელ ღარიბაშვილის წინააღმდეგ სიღნაღის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიება ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე დაიწყო. ინციდენტი 14 დეკემბერს დედოფლისწყაროს სასამართლოს შენობაში მოხდა, რა დროსაც რწმუნებულმა ტარიელ ღარიბაშვილმა ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, აიძულებდა, მისი მისამართით გარკვეული ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეეკავებინა.

როგორც მოგვიანებით კულუარებში აღნიშნავდნენ, ტარიელ ღარიბაშვილი ბევრს ტრაბახობდა, თავი ქუდში მაქვს და ეგღა მაკლია, ჟურნალისტის გამო ვინმემ მომხსნას, ჩემი ბიჭი ივანიშვილის ფონდის თავმჯდომარეა, მე ვერავინ შემეხებაო...

ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა თავად ღარიბაშვილთანაც სცადეს დაკავშირება.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ ღარიბაშვილის ტელეფონზე მისმა მეუღლემ უპასუხა.

– ტარიელთან გასაუბრებას ვერ შეძლებთ. აქ არ არის.

***– სხვა ტელეფონი არ აქვს?***

– არა.

***– სამსახურიდან რატომ წავიდა?***

– ავად არის... წნევა აქვს მაღალი და გული აქვს ცუდად.

***– ადრეც ავადმყოფობდა?***

– დაგვანებეთ რა თავი, ხომ შეიძლება. არაფერზე არ გვინდა საუბარი“....

ღარიბაშვილის პირად ტელეფონის ნომერზე „ქიზიყსაც“ მისი მეუღლე გაესაუბრა. მან ჟურნალისტს განუცხადა: „არაფერზე არ გვსურს საუბარი, ყველამ თავი დაგვანებეთ, არაფრის თავი არ გვაქვს“.

# გაფრინდაშვილი ივანიშვილთან მოლაპარაკებებს არ აპირებს

წარმომადგენლობითი სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი ბიზნესმენ და მეცენატ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მიესალმება, თუმცა ამ ეტაპზე მასთან რაიმე სახის მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.როგორც გაფრინდაშვილმა „პირველს“ განუცხადა, ამ დრომდე სახალხო კრებას და უშუალოდ მას ბიძინა ივანიშვილთან მოლაპარაკებები არ ჰქონია.

– ბიძინა ივანიშვილი ღირსეული ადამიანია და მთავარია, მან ქვეყანაში კარგი საქმე გააკეთოს. ვისთან ერთად შეძლებს ივანიშვილი ამას – ნაკლებადაა მნიშვნელოვანი, – აღნიშნა მან.

**პირველი**



ნონა გაფრინდაშვილი

# გიორგი ცაგარეიშვილი: დიპლომატები ივანიშვილის პოლიტიკური ფიგურით დაინტერესდნენ



გიორგი ცაგარეიშვილი

საპარლამენტო ფარქციის – „ერთობა სამართლიანობისათვის“ – თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილის ინფორმაციით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ფიგურითა და ქართულ პოლიტიკაზე მისი გავლენით დაინტერესდნენ.

დეპუტატმა ეს განცხადება ამავე ფრაქციის ინიციატივით დიპლომატებთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მან სტუმრებს განუმარტა, რომ ივანიშვილს პოზიციის გამოხატვისთანავე მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. გარდა ამისა, ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურად უკვე „პიარტექნოლოგიების მეშვეობით დევნის“.

„ერთობა სამართლიანობის“ წევრები სტუმრებს ფრაქციის მიზნებსა და ის წინააღმდებობებზეც ესაუბრნენ, რაც მას შექმნის დღიდანვე შეხვდა.

ფრაქციასთან შეხვედრაზე ევროკავშირის, ევროსაბჭოს, აშშ-ის, უკრაინის, ბულგარეთისა და ა.შ. ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

**მედიანიუსი**

# როდის და რომელ არხზე გამოჩნდება ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ეთერში

**ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული წერილობითი განცხადებები კი კარგად იკითხება, მაგრამ საზოგადოება მისი გამოჩენისა და ხმის გაგონების მოლოდინშია. ეს მოლოდინი ჟურნალისტებში კიდევ უფრო მძაფრია. ივანიშვილი ყოველთვის სასურველი რესპონდენტი იყო და ახლა ხომ საოცნებო რესპონდენტთა კატეგორიაში გადავიდა. უკვე ცნობილია, რომ ივანიშვილის ინტერვიუს ექსკლუზივი არც ერთ მედიასაშუალებას არ იქნება და ამ მოვლენას ყველა ერთდროულად გააშუქებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერი, ირაკლი ტრიპოლსკი საუბრობს.**

შალვა ჯოხაძე

**ირაკლი ტრიპოლსკი:**

– ცნობილი პოლიტიკური განცხადებების შემდეგ, საზოგადოების ინტერესი ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ განუზომლად გაიზარდა.

თუ რომელიმე ეროვნული მაუწყებელი (საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“) უზრუნველყოფს პირდაპირი ეთერის ტრანსლირებას, 14 ოქტომრიდან, როგორც ეს განცხადებული იყო, ბატონი ბიძინა მზად არის პრესსამდივნის ოფისიდან ქართული მედიისთვის (ელექტრონული, ბეჭდვითი) გამართოს პრესკონფერენცია. იგი მზად არის, პასუხი გასცეს ჟურნალისტების შეკითხვებს ნებისმიერ თემაზე.

ჩვენ ვთავაზობთ ეროვნული მაუწყებლის მესვეურებს, პირველ რიგში, საზოგადოებრივ მაუწყებელს, მოცემულ ფორმატში თანამშრომლობას, რაც მაყურებელთა უმრავლესობის ინტერესებს შეესაბამება. ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდეგ, ზუსტი თარიღი გამოცხადდება დამატებით.

შეგახსენებთ, რომ, მას მერე, რაც ივანიშვილმა პირდაპირ ეთერში გამოჩენის პირობა დადო, „მაესტრო“-“კავკასიამ“ პოლიტიკაში გადაბარგებულ ბიზნესმენს ერთობლივი ეთერი შესთავაზეს. თავიდან ითქვა, რომ ივანიშვილის გამოჩენის ყველაზე დიდი შანსი „პირველ არხზე“ იყო, ახლა კი





ირაკლი ტრიპოლსკი

ირკვევა, რომ ეს ასე არ იქნება.

ტრიპოლსკის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე საპასუხო განცხადება საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც გაავრცელა:

„ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მისვლაზე უარი თქვა. ამის თაობაზე ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს.

იგივე სააგენტოები ადასტურებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ბრიფინგებს საკუთარ პრესსამდივნოში გამართავს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი დაესწრება ყველა მის პრესკონფერენციას და შესაბამისად, უზრუნველყოფს მის გაშუქებას.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ძალაში ტოვებს თავის წინადადებას და სთავაზობს მას პირდაპირ ეთერს, მაუწყებელში არსებული თოქ-შოუების ფარგლებში“.

აღსანიშნავია, რომ ტრიპოლსკიმ ივანიშვილის გამოსვლის პირდაპირ ეთერში გაშვება არა მხოლოდ „პირველი არხს“, არამედ „რუსთავი 2“-სა და „იმედისაც“ შესთავაზა. „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა მათე კირვალიძემ „ნეტგაზეთს“ განუცხადა, რომ „ტელეიმედი“ ვალდებული არ არის, საქართველოს ყოფილი მოქალაქე პირდაპირ ეთერში ჩართოს.

**მათე კირვალიძე:**

– პრესკონფერენფერენციის მოწყობა უნდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს, „რუსთავი2“-სა და „იმედს“ პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფას სთხოვს. ეს ადამიანი პირდაპირ ეთერში ჩართვას კი არ ითხოვს, პრესკონფერენციას მართავს თავის ოფისში, სადღაც და ამის პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფას სთხოვს ტელევიზიებს.

მე ვერ ვხედავ, რა ვალდებულება აქვს „ტელეიმედს“ ამისი. ვერ ვხვდები, რის უზრუნველყოფაზე ლაპარაკობს ეს კაცი. რამდენადაც ვიცი, პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სამი გადაცემა აქვთ მათ პირდაპირ ეთერში, იგი მიიწვია და დღემდე არ მიუღია პასუხი. რატომ ატარებს ეს ადამიანი სადღაც პრესსამდივნოში პრესკონფერენციას, ვერ გავიგე, რატომ არ ატარებს სადმე, ღია სივრცეში?

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროს გიორგი ლაფერაშვილის კომენტარსაც „ნეტგაზეთი“ ავრცელებს.

**გიორგი ლაფერაშვილი:**

– ჩვენი პოზიცია ასეთია: ყოველთვის და განსაკუთრებით ამ პერიოდში, ძალიან დიდი სიამოვნებით მივალთ პრესკონფერენციაზე, გავაშუქებთ ყველა იმ თემას, რომელიც იქ წამოიჭრება. ჩვენც ვადასტურებთ, რომ უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან გასაუბრება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემაა. როგორც მინიმუმ, მისი წესიერი კადრი გვექნება, თან გავიგებთ რეალურად, ეს კაცი რას ფიქრობს და რას ლაპარაკობს.

მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, პირველი შემთხვევაა ნამდვილად, როდესაც პრესკონფერენციის ჩატარების წინაპირობად სახელდება პირდაპირი ეთერი. თუ ეს ასეა, რა დასკვნაც მე ამ განცხადებიდან გამოვიტანე, ალბათ ასეა, დაგვიკავშირდნენ, ვისაუბროთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას. მე არ გამოვრიცხავ არც პირდაპირ ეთერს, არც ჟურნალისტის ჩართვას, არც მერე კადრ–სინქრონის, ან სიუჟეტით ამ ამბის გაშუქებას. ეს ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს“

შორენა კოწოწაშვილი

**ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან**

***— ბატონო გოგა, რას ნიშნავს მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში და რატომ აწრიალდა როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია?***

— ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში, ჩემი აზრით, მიწისძვრის ტოლფასია. ეტყობა, საქართველო ღმერთს ყვარებია და გასაწირად არ ემეტება. ეს არის ერთ-ერთი, თუ არა უკანასკნელი შანსი, რომ მოვიცილოთ ეს ჭირი და უბედურება, რომელსაც სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. ეს არის ძალიან რეალური შესაძლებლობა იმიტომ, რომ ივანიშვილის წონის ფიგურები საქართველოს სინამდვილეში პრაქტიკულად აღარ არსებობენ. მისი შესაძლებლობები, მისი ცხოვრების წესი, რომლის მოწმენიც ჩვენ ყველანი ვიყავით, თუმცა არც ერთ ჩვენგანს რეალურად ეს ადამიანი არ გვინახია, მოწმობს იმაზე, რომ ძალიან დიდი შესაძლებლობების და ძალიან თავმდაბალი პიროვნებაა. არანაირი ზარ-ზეიმები იმასთან დაკავშირებით, რაც მას საქართველოსთვის და ქართველი საზოგადოებისთვის აქვს გაკეთებული, ჩვენ არ გვახსოვს. არადა, ამ საქმიანობისა მასშტაბი უაღრესად დიდია. ეს მოწმობს იმაზე, რომ ამ კაცს ეს ქვეყანა უყვარს. მისი უკანასკნელი განცხადებები მეტყველებს იმაზე, რომ თავგანწირვის უნარიც აქვს და რაც მთავარია, უნარი აქვს, რომ საკუთარი კეთილდღეობა, პიროვნული და ოჯახური უსაფრთხოება საერთო ქართულ საქმეში იყოს განცხორციელებული. ამას დიდი ვაჟკაცობა უნდა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ივანიშვილის, როგორც კარგ ქართველ ყმაზე მეტყველებს.

***— ხელისუფლება ივანიშვილს რუს ოლიგარქს და რუსული ინტერესების გამტარებლად წარმოაჩენს და ამით მის დისკრედიტებას ცდილობს. ეს გამოუვა?***

— ეს აღარ არის სერიოზული. მახსენდება, სანამ იაკობ გოგებაშვილის დედაენას ვსწავლობდით და არა სააკაშვილის რედაქტირებულ დედაენას, ყველას გვქონდა წაკითხული მოთხრობა ,,ცრუ, სადაც სულ იძახის ბიჭი ,,მგელი, მგელიო“. იმდენი იძახეს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ჩემიდან დაწყებული, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებზე მგელი, მგელიო, როდესაც სინამდვილეში მართლაც მოვიდა მგელი, აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ეს ქვეყანა ამისთვის სააკაშვილის წყალობით. როგორი მხედართმთავარი და როგორი ქვეყნის მმართველია, გორში იხილა მთელმა მსოფლიომ. რუსული ფული და რუსული გავლენის განმახორციელებლები არიან საქართველოში სააკაშვილი, ბიძამისი თემურ ალასანია, ვანო მერაბიშვილი, რომელიც პირდაპირ რეზიდენტია რუსული დაზვერვისა საქართველოში. ეს უკვე აღარავისთვის არის დაფარული; კახა ბენდუქიძე, ნაყოფია, ვინც რუსებს თელასი მიყიდა, ვინც მიყიდა რუსებს წყალი და ა. შ. ანუ მთელი კონტროლი ქართულ სტრატეგიულ ობიექტებზე გადავიდა რუსების ხელში. გადასცეს ენგურჰესი და ა. შ. ვფიქრობ, რომ დრო მოვიდა თავი დავანებოთ ამ ყავლგასულ პროპაგანდას. სააკაშვილის სახით არის სიხლიანი კვალი ქართულ სინამდვილეზე და ქართველ საზოგადოებაზე. ამიტომ ასეთი განცხადებები ივანიშვილის მიმართ არასერიოზულია.

***— შიშის ფაქტორიდან გამომდინარე ჩამოერთვა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა?***

— რა თქმა უნდა. ეს არის მცდელობა პოლიტიკური ანგარიშსწორებისა. ესენი არაფრის წინაშე არ გაჩერდებიან. ეს არის პირსისხლიანი ავაზაკების თავყრილობა. ამიტომ ყველაფერზე წავლენ. მოქალაქეობა კი არა, ბადრი პატარკაციშვილს სიცოცხლე წაართვეს. ივანიშვილის სახით საფრთხე მაგათთვის არის გაათმაგებული იმიტომ, რომ სულ სხვა პირობებში გამოჩნდა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე და სულ სხვა პოლიტიკურ სინამდვილეში. იმ მემონტში, როდესაც პრაქტიკულად სრულიად უსაზღვრო და ჩემი აზრით, უგუნური მხარდაჭერა დასავლეთიდან სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ პრაქტიკულად ამოწურულია. ბასისნაირი ცეკას მდივნის ნაირ ტიპებს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც უბრალოდ, საკუთარი ინტერესების განხორციელებას ცდილობენ საქართველოს ტერიტორიაზე და ცოტა ვინმე ბედავდა საქართველოში განაცხადა ის, რაც ყველამ ვიცით. არიან, ასე ვთქვათ, სააკაშვილის მომსახურე ხელის ბიჭები, ვისაც მან პარტია შეუქმნა და აი, ამ თავისი კრიმინალური ფულით კეთილდღეობა შეუქმნა და არიან ის ადამიანები, ვინც საკუთარი სიცოცხლის და თავგანწირვის ფონზე ებრძვის ამ სასტიკ რეჟიმს. ამიტომ, ბიძინა ივანიშვილს არაფერი არ დაუყვია. მან ფაქტის კონსტატაცია განახორციელა. ამას ვლაპარაკობთ ჩვენ უკვე 5 წელიწადია. უბრალოდ, მასშტაბები ბიძინა ივანიშვილის გადმოძახილის და ჩვენი ნათქვამის არის სხვადასხვა. ამიტომ ჩვენ არ გვისმენენ და ივანიშვილის ნათქვამმა იმ წუთში მიაღწია. მადლობა ღმერთს, რომ მან ეს თქვა.


გოგა ხაინდრავა

ამისთვის ყველაზე კარგი შემსრულებელი სააკაშვილია, რომელიც გაყიდის ყველაფერს, ოღონდ საკუთარი კეთილდღეობა და სკამი შეინარჩუნოს. სხვა ასე ვთქვათ, მეტ-ნაკლებად თავმოყვარე ქვეყნების და საზოგადოებების მხარდაჭერა სააკაშვილს მთლიანად დაკარგული აქვს. ჩვენ, ოპოზიციაც და ბადრი პატარკაციშვილიც მაშინ ბაბილონის გოდოლს დავეტაკეთ მსოფლიოში და ბუშის კომბალი მოგვხვდა თავში. პრაქტიკულად ბუშის ადამინისტრაციას დავუპირისპირდით და არა სააკაშვილს. ჩვენ ეს არ ვიცოდით და არ გვეგონა, თუ ასეთი ტიპის დაინტერესება იყო ამ ნაძირალის ქვეყნის სათავეში ყოფნისა, თორემ მაშინ სხვა სტრატეგიას და ტაქტიკას ავირჩევდით. ალბათ არც პატარკაციშვილის ცხოვრება დასრულდებოდა ასე ტრაგიკულად. აქვე ერთი რამ მინდა აღვნიშნო, მე მინდა ქართველმა საზოგადოებამ კარგად გაიაზროს ის აბსოლუტურად ულირსი ქმედება, რომელიც ჩვენი მხრიდან ჩადენილი იყო პატარკაციშვილის მიმართ. დღეს ისევ მომლოდინე, სეირის მაყურებლის როლში არ აღმოჩნდეს. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა არის უკიდურესად დიდი შანსი ქართველი საზოგადოებისთვის, მაგრამ აღსრულება ყველამ ერთად უნდა განვახორციელოთ. დღეს განზე დგომა და გარედან ყურება, თუ ვინ აჯობებს — ნაციონალური მოძრაობა და ეს მთელი საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელიც სააკაშვილის სახით არის წარმოდგენილი საქართველოში, თუ ბიძინა ივანიშვილი — ეს არაფერ სიკეთეს არ მოგვცემს. მთელი საზოგადოება უნდა ჩაერთოს ამაში. ჩვენ უნდა გადავდოთ შიში, სამარცხვინო მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და მივხვდეთ, მაგალითი ავიღოთ, რომ თუ შეიძლება ერთმა კაცმა საწორზე ამხელა ქონება, ამხელა ავტორიტეტი და საკუთარი ოჯახი დადოს ერთმა ქართველმა კაცმა, ე. ი. ყველა დანარჩენებმაც უნდა შევძლოთ ამის გაკეთება. ამ მიზნის მიღწევა იქნება ბევრად უფრო ადვილი. ეს პირველ რიგში ქართველ ბიზნესმენებს ეხება, იმ ადამიანებს ეხება, ვინც ბუჩქებში ჩაძვრნენ მაშინ და პრაქტიკულად ბადრისთან მიმართებაში მეგობრობას, კოლეგიალობას უღალატეს და მარტო დატოვეს საკუთარი კეთილდღეობის გამო. მე მათ ვეუბნები, არ იქნება კარგი ბუჩქებში ჯდომა. გამობრძანდით, ნუ დარჩებით ლაქიებად სააკაშვილის კარზე. ქართველი ხალხის შრომით გაქვთ ნაშოვნი ეს მილიონები. კეთილი ინებეთ, ეს ფული ისევ ხალხის კეთილდღეობას მოახმარეთ და ბუჩქებში ჯდომას თავი დაანებეთ.

***— ბატონო გოგა, რას იტყვით განცხადებაზე, სადაც ივანიშვილმა ოპოზიცია სახელისუფლო და არასახელისუფლო ოპოზიციად დაყო და ღიად თქვა, რომელ ოპოზიციურ ძალებთან არ ითანამშრომლებს.***

— ბიძინა ივანიშვილს არაფერი არ დაუყვია. მაგათმა თვითონ დაყვეს თავიანთი თავი. ივანიშვილმა ღიად, პირდაპირ, ისე როგორც ამას ძალიან ცოტა ვინმე ბედავდა საქართველოში განაცხადა ის, რაც ყველამ ვიცით.

***— ოპოზიციის კრიტიკით ივანიშვილმა მტრები გაიჩინა თუ კონკურენტები გაიმრავლა?***

— ივანიშვილს კონკურენტების რომ ეშინოდეს, მაშინ სააკაშვილს არ დაუპირისპირდებოდა და ამ საერთაშორისო დანაშაულებრივ სინდიკატს. მასთან შედარებით ეს ხელმოცარული ადამიანები, ორ შაურად გაყიდულები რა კონკურენტები უნდა იყვნენ ივანიშვილისთვის?!

***— ვისაუბროთ ვანო მერაბიშვილის ფაქტორზე. ივანიშვილმა მერაბიშვილს შეახსენა, რომ ბოკერიას აგვისტოს ომამდე წელიწად-ნახევრით ადრე უნდოდა ცხინვალში შესვლა და რომ დახმარება სწორედ მას სთხოვეს, რომ გადაეფიქრებინა ბოკერიას ეს განზრახვა.***

— მე ამის შესახებ რვა აგვისტოს, დილის 7 საათზე ვთქვი. ამას ომის დაწყებამდეც ვლაპარაკობდი. მერაბიშვილი არის ძირითადი მოქმედი ფიგურა ამ ომის დაწყებაში იმიტომ, რომ ის ახორციელებს რუსეთის ინტერესებს საქართველოს ტერიტორიაზე და ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს და არაერთი ფაქტი მომიყვანია. ახლა ბოკერია რომ პათოლოგია და ეს ქვეყანა სძულს, ეს ისედაც ვიცოდით. ძალიან საინტერესოა, რომ ივანიშვილი ისეთ დეტალებზე ლაპარაკობს, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობი იყო. ვფიქრობ, ეს ძალიან დამაფიქრებელი უნდა იყოს იმ ადამიანებისთვის, ვინც ცხვრის ბღავილით მისდევს კუდში ამ არამზადებს.

***— თქვენ ივანიშვილის განცხადებას დამაფიქრებელი უწოდეთ. ზოგიერთი პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ამ განცხადებით ივანიშვილმა სააკაშვილს ფაქტიურად უთხრა, რომ მე ხელისუფლებაში უკვე მოსული ვარო. თქვენც ასე გესმით?***

— რა თქმა უნდა, ასეა. ივანიშვილი პოლიტიკაში რომ მოსულია, ეს იგრძნო მთელმა საქართველომ. მიწისძვრის ტოლფასი ვითარება შეიქმნა საქართველოში. რა თქმა უნდა, მოსულია უკვე.

***— თუმცა პოლიტიკოსებს პრეტენზიებიც აქვთ ჯერ არ გამოუკვეთია პოლიტიკური პლატფორმა, საგარეო კურსი და ა. შ.***

— ეს არის საბაბი იმ ადამიანებისთვის, ვინც საკუთარ თავს ეძებც საქართველოს სინამდვილეში და არა საქართველოს საკუთარ თავში; ვინც მთელი ცხოვრება დაკავებულია საკუთარი თავის მოწონდებით. ზოგი ექსპერტად ცდილობს თავის გასაღებას, ზოგი პოლიტიკოსად, ზოგი ჟურნალისტად.

***— თქვენ მერაბიშვილს რუსეთის***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ძამბოლატ თედეევი ცხინვალიდან გააძევეს

**კოკოითი არც ისე გონებაჩლუნგი აღმოჩნდა, როგორც ეს მის ოპონენტებს ეგონათ. ის საკმაოდ ვირეშმაკა გამოდგა და საკმაოდ ოსტატურად ჩამოიშორა თავისი მთავარი ოპონენტი ძამბოლატ თედეევი. მას ჯერ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა, გუშინ კი ის ცხინვალიდან გააძევა. თედეევი ამას ასე ალბათ არ დატოვებს. ამ ეტაპზე გამარჯვება კოკოითის დარჩა.**

თეა მარხვაიძე

საინფორმაციო სააგენტო „რესის“ ინფორმაციით, ყოფილ ,საპრეზიდენტო კანდიდატ ძამბოლატ თედეევს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დაატოვებინეს. თედეევი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დაცვის წევრებმა გადაიყვანეს.

პრეზიდენტის პრესსპიკერ თამარ ქელეხსაევას განცხადებით, ძამბოლატ თედეევმა დაარღვია ყველა მოლაპარაკება და ის სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ სიტუაციის გამწვავებას აგრძელებდა.

— ედუარდ კოკოითის კეთილი ნებით და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტ თეიმურაზ მამსუროვის დახმარებით თედეევის მიერ შემდგომი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად და ასევე მისი პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დღეს მისთვის კორიდორი გაკეთდა და ის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დაცვის თანხლებით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიყვანეთ, — აღნიშნა ქელეხსაევამ.


ძამბოლატ თედეევი

თედეევის ცხინვალიდან გაძევება კოკოითის კარგა ხნის წინ უნდოდა. ეს ოპოზიციის ლიდერმაც კარგად იცოდა. ამის თაობაზე იყვნენ ინფორმირებული მისი ახლობლებიც. ამიტომაც ყარაულობდა ასეულობით ადამიანი თედეევის სახლს.

ორი დღის წინ ოპოზიციის ლიდერის საკითხი აქაურმა უზენაესმა სასამართლომ განიხილა. სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილება არ შეცვალა და თედეევს არჩევნებში მონაწილეობის იმედი საბოლოოდ გადაეწურა.

— სასწაული არ მოხდა. რეგისტრაციაში არ გამატარეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლას ვწყვეტ. ჩვენ მოვილაპარაკებთ და მხარს ერთ-ერთ პრეზიდენტობის კანდიდატს დავუჭერთ, — განაცხადა 12 ოქტომბერს „ეხო კავკაზასთვის“ მიცემულ ინტერვიუში თედეევმა.

გუშინ კი ის ცხინვალიდან გააძევეს. როგორც კოკოითის მხარე ამბობს, ის პროვოკაციების მოწყობას აპირებდა. თედეევს ვინც კარგად იცნობს, იცის, რომ ის ყველაფერზეა წამსვლელი. ის ყველაფერზე წავიდა 10 წლის წინ, კოკოითი პრეზიდენტად რომ გაეყვანა.

ახლაც ამ მეთოდების გამოყენებას აპირებდა, მაგრამ არ გაუვიდა, იმიტომ რომ კოკოითი მისი მეგობარი იყო და კარგად იცოდა, რის გაკეთებას მოინდომებდა აწ უკვე მისი ოპონენტი.

მთელი ამ დაპირისპირების მანძილზე რუსული სპორტული სამყარო კოკოითის წინააღმდეგ დადგა. მას დუმის დეპუტატებიც დაუპირისპირდნენ. აღშფოთება უკრაინის რადას დეპუტატმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელბრუს თედეევმა გამოთქვა. საქმეში სამხედროებიც ჩაერთვნენ. მათ მედვედევს ანტიკოკოითური გადაწყვეტილების მიღება მოსთხოვეს. თუმცა რუსეთი დუმდა, რაც ძალიან საეჭვო იყო. როგორც ჩანს, კრემლს არ სურდა თედეევის გაპრეზიდენტება და არც მისი გაშვება. ის ხომ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში. მან დიდ წარმატებებს მიაღწია. 3 წლის წინ ის მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და რუსეთი რატომ დაკარგავდა ასეთ კადრს.

ის ისევ მწვრთნელი იქნება, რაც მას კოკოითის გამწარებაში ხელს სულაც არ შეუშლის, თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში მის წინააღმდეგ დიდი კამპანიაა აგორებული.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 16 ოქტომბერს ვლადიკავკაზში დიდი მიტინგი გაიმართება. ეს მიტინგი თედეევის გაძევების შემდეგ კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

კოკოითის ამ გამოხდომამ აქ მცხოვრები ცხინვალელი დევნილების მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. აქაურები აღშფოთებული არიან, რომ კოკოითიმ ჩემპიონები ცხინვალში არ შეუშვა.

ამ აქციის პარალელურად ჩრდილოეთ ოსეთში სხვა ზომებსაც მიმართავენ, რაც ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან კავშირში არ არის.

„ექსპერტთა კლუბის“ ცნობით, ვლადიკავკაზში ცხინვალის რეგიონიდან გამოსული მოსახლეობისაგან გათავისუფლება სურთ. გადასახლებულებსა და დევნილებს, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთში დამკვიდრდნენ, რესპუბლიკის დატოვებას შესთავაზებენ. ეს საკითხი დააყენეს ჩრდილო ოსეთის — ალანიის პარლამენტის ეროვნული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში არსებულ პრობლემებს მიეძღვნა.

პორტალ „მე-15 რეგიონის“ ინფორმაციით, მიგრაციის სამსახურის აღრიცხვაზე 43 დევნილი და თითქმის 10 ათასამდე იძულებით ადგილნაცვალი პირი იმყოფება. მათი კომპაქტურად განსახლების რაიონში შენობები ავარიულ და საცხოვრებლად გამოუსადეგარ მდგომარეობაშია. ხშირად აქვს ადგილი საინჟინრო და კომუნიკაციური ხასიათის პრობლემებს, ხოლო მათი ხელშეწყობის წესი — ახალ საცხოვრებლებზე სერტიფიკატების გაცემა — უშედეგოა, რადგანაც რესპუბლიკაში წლის განმავლობაში მხოლოდ 2-3 ასეთი სერტიფიკატი გამოიყოფა.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სტანისლავ კესაევი აცხადებს, არავითარ სტანდარტით — ქალაქთმშენებლობის, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური თუ სხვა, ჩვენ არ შეგვიძლია ჩრდილო ოსეთის — ალანიის დედაქალაქში მოსახლეობის ასეთი რაოდენობის უზრუნველყოფა.

ჩრდილო ოსეთის დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ გადმოსახლებულები უნდა დააარწმუნონ რესპუბლიკის პერიფერიებში გადასახლებაზე (თუ როგორ იცხოვრებენ ისინი იქ და როგორ მოიპოვებენ საარსებო სარჩოს, არ ზუსტდება), კიდევ უკეთესი იქნება, თუ ისინი დაბრუნდებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კოკოითის რეჟიმის დაქვემდებარებაში.

— როგორც პოლიტიკურად, ისე სოციალურად და ისტორიული თვალსაზრისითაც სამხრეთ ოსეთი მათ უფრო ელოდება, ვიდრე ჩრდილოეთი, — ამბობს კესაევი.

ვლადიკავკაზში ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის ან ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებში მიმართვის ტექსტის შემუშავება სურთ. ამის გარდა, პარლამენტის კომისიის წევრები გადასახლებულთა შორის შესაბამისი აგიტაციის დაწყებაზეც საუბრობენ.

დაახლოებით ერთი წლის წინ ამ მისიით ვლადიკავკაზში კოკოითიც ჩავიდა. მან დევნილებს უკან დაბრუნება ურჩია.

# ხელისუფლებამ უკან დაიხია

## რატომ აღარ დაუშვებენ ეროვნულ პარკებში ნადირობას

თეა მარხვაიძე

**ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება, მეტი ტურისტი შემოვიდეს. ტურისტების მოსაზიდად კი ხელისუფლება ყველა ხერხს იყენებს. ჩვენი ლამაზი ბუნების წყალობით ტურისტები ისედაც არ გვაკლია. თუმცა ხელისუფლებას უფრო მეტი უნდა.**

მეტი იმიტომ უნდა, რომ მეტი შემოსავალი შევა ბიუჯეტში. ახლო მომავალში ნაციონალებმა ასეთი ლოზუნგი შეიძლება შემოგვთავაზონ: ტურიზმი გადაარჩენს საქართველოს.

როგორც უკვე ვთქვით, ტურისტების მოსაზიდად ყველაფერი კეთდება. იდეებში ჩვენს ხელისუფლებას დეფიციტი არა აქვს. ჰოდა, ახალი რამე მოიფიქრეს. რამდენიმე დეპუტატი შეიკრიბა და კანონი დაწერა, რომლის თანახმადაც ტურისტებს ეროვნულ პარკებში ნადირობის უფლება მიეცემოდათ.

ესეც არ იკმარეს და წითელი წიგნის გაუქმება გადაწყვიტეს. ამ წიგნში შეტანილ ცხოველებზე კი ნადირობის უფლება დააწესეს.

„ახალი თაობა" უკვე იუწყებოდა, რომ პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე". კანონპროექტი ითვალისწინებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა და მცენარეების გარემოდან ამოღების ახალი წესებისა და პროცედურების შემოღებას. ამ არაჩვეულებრივი კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებში, საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებზეც ნადირობა შეიძლება დაიშვას. დათვზე, ირემზე, ჯიხვსა და სხვა იშვიათ სახეობებზე ნადირობა შეიძლება კანონს დაექვემდებაროს.


ზაზა გამცემლიძე

უკვე ვცდებით, რომ ხელისუფლება სამონადირეო ტურიზმის განვითარებას აპირებს. და ამის ხათრით მზადაა, საქართველოში იარაღიანი ტურისტები შემოუშვას.

თოფიან ტურისტებთან დაკავშირებით პარლამენტში განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ეროვნულ პარკებთან დაკავშირებით კი ერთ აზრზე დადგნენ.

სანამ დეპუტატები მიხვდებოდნენ, რომ ეროვნულ პარკებში ნადირობა დაუშვებელია, განგაში გარემოს დაცვითმა ორგანიზაციებმა ატეხეს. რამდენიმე კვირის წინ საგანგებო განცხადება გაავრცელა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისმა. აქ მიაჩნია, რომ ეროვნულ პარკებში ნადირობის დაშვება და წითელი ნუსხის სახეობებზე ნადირობა კატეგორიულად მიუღებელია.

— ამგვარი დაშვება არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის სახელმძღვანელო პრინციპებს დაცული ტერიტორიების კატეგორიების შესახებ. ზემოაღნიშნული ნორმის შემოღება სამართლებრივად აზრს დაუკარგავს ეროვნული პარკების, როგორც დაცული ტერიტორიის, კატეგორიის არსებობას, იმდენად, რამდენადაც გაუთანაბრებს მას დაბალი დაცვის რეჟიმის მქონე სხვა კატეგორიებს (აღკვეთილს, დაცულ ლანდშაფტს და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას). პრაქტიკულადაც, ყოველივე ამას სარგებელზე გაცილებით მეტი ზიანი მოჰყვება: ნაკრძალები და ეროვნული პარკები ჩვენი ფაუნის წარმომადგენელთა თავშესაფრებია, ერგვარი „რეზერვუარებია", სადაც მრავლდება ნადირ-ფრინველი; ანუ იქმნება რესურსი ამ კატეგორიის დაცული ტერიტორიების გარეთ სამონადირეო მეურნეობების მოსაწყობად. გარდა ამისა, ნადირობის დაშვება საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ეროვნულ პარკებში ტურიზმის განვითარების პოზიტიურ ტენდენციას. ზოგადად, ეროვნული პარკებში ნადირობის დაშვება და შესაბამისად, მათი დაცვის რეჟიმის დაქვეითება უარყოფითად აისახება საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე, — ნათქვამია ორგანიზაციის მიერ საგანგებოდ გავრცელებულ განცხადებაში.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი იმითაცაა უკმაყოფილო, რომ კანონპროექტში ბუნდოვან კონტექსტშია ნახსენები წითელი ნუსხის სახეობები.

— საქართველოს წითელი ნუსხის მნიშვნელობის ნებისმიერი სახით დაკნინება უარყოფითად აისახება ქვეყნის ბუნებრივი ეკოსისტემების მდგომარეობაზე. წითელი ნუსხის სახეობებზე ნადირობა დაუშვებელია. ამასთან, წითელი ნუსხის რეგულაცია გულისხმობს მის პერიოდულ განახლებას მასში შეტანილი სახეობების სტატუსის შესახებ ახალი მონაცემების დაგროვების კვალდაკვალ: განახლების შედეგად სახეობის სტატუსი შეიძლება ამაღლდეს ან დაიწიოს. ზოგიერთი სახეობა შესაძლოა, კიდეც ამოღებულ იქნეს წითელი ნუსხიდან. ოღონდ ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს საფუძვლიანი სამეცნიერო შეფასება, — აღნიშნულია საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციის განცხადებაში.

კანონპროექტი, რომელიც დეპუტატებმაც დაიწუნეს, ქართულმა გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც გააკრიტიკეს.

ასოციაციამ „მწვანე ალტერნატივა" განაცხადა, რომ „წითელი ნუსხის" სახეობებზე და ეროვნულ პარკებში ნადირობის დაკანონება იგივეა, რომ გადაწყდეს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოქროს ფონდის გაყიდვა ლითონის ფასად, იმ საბაბით, რომ მუზეუმის ვიზიტორების მიერ გადახდილი თანხა ცოტაა მათი გაყიდვით მიღებულ შემოსავალთან შედარებით, ხოლო ექსპონატების შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდება.

— ჩვენი აზრით, ამგვარი ცვლილება ცალსახად უარყოფით შედეგებს გამოიწვევს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: სრული განადგურების საფრთხე დაემუქრება წითელ ნუსხაში შეტანილ ზოგიერთ მცირერიცხოვან სახეობას; ეროვნულ პარკებში ნადირობის დაშვების შედეგად, საქართველოში პრაქტიკულად აღარ დარჩება ადგილი, სადაც ველური სახეობები ბუნებრივ გარემოში გამრავლდებიან, ანუ აღარ იქნება ამ სახეობათა ბუნებრივი რეზერვუარები (მცირე ფართობის მქონე სახელმწიფო ნაკრძალები ამ ფუნქციას ვერ შეასრულებენ), რის გამოც აზრი ეკარგება დაცული ტერიტორიების ფუნდამენტურ არსს; ზოგიერთი შემოთავაზებული ცვლილება მოკლევადიან ფინანსურ ეფექტზეა ორიენტირებული და არ შეუწყობს ხელს მდგრადი სანადირო ტურიზმის განვითარებას; საფრთხის ქვეშ დადგება საქართველოს ეროვნული პარკების ტურისტული პოტენციალი, ისევე როგორც საქართველოს ეკოტურისტული მიმართულების საერთაშორისო იმიჯი; კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებების გატარება ფაქტობრივად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ბუნების დაცვის სფეროში ჩადებული მრავალმილიონიანი ინვესტიციების წყალში გადაყრას ნიშნავს. ეს სამომავლოდ ეჭვქვეშ დააყენებს ამ სფეროში ისეთი მნიშვნელოვანი დონორების დახმარებას, როგორიცაა ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები, გარემოს დაცვის გლობალური ფონდი და სხვა, — აღნიშნულია სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესის" განცხადებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით პროტესტი სხვებმაც გამოხატეს. როგორც ჩანს, ეს იდეა ზემოთაც დაიწუნეს და საკითხის განხილვა გადაიდო.

ეს არაჩვეულებრივი კანონპროექტი კახა ანჯაფარიძის, პავლე კუბლაშვილისა და ზვიად კუკავას მიერ არის შემუშავებული, რომლის მიხედვით, ნადირობა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაშვებული უნდა ყოფილიყო.

გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა გუშინ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა გამცემლიძემ განაცხადა, რომ ეს რეგულაცია დაშვებული არ იქნება.

ასე რომ, არც ტურისტები და არც სხვა ვინმე ეროვნულ პარკებში არ ინადირებენ.

სამაგიეროდ თოფიანი ტურისტების ხილვის პატივი ისევ გვექნება. გამცემლიძის მათი არ ეშინია. პირიქით, ამბობს, რომ ამაში ცუდი არაფერი არ არის.

ისე, ამ ტურისტებს თუ ძალიან ეფხანებათ ხელები, მგლების მიერ აწიოკებულ საქართველოს კუთხეებში დავასაქმოთ. მტაცებლის დახოცვას ადგილობრივი მონადირეები ვერ აუდიან და ტურისტები ხელს თუ გაანძრევენ, ცუდი არ იქნება.

## 26 მაისს დაკავებულებს შეხვდნენ

„სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭო მაისის მოვლენების დროს ადმინისტრაციული წესით გასამართლებულ კრების წევრებს შეხვდა. როგორც „პირველს" კრების პრეს-სამსახურიდან აცნობეს, „აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა თანამებრძოლებს, რომლებაც ციხეებში რეჟიმის ზეწოლას გაუძლეს და ნამდვილი სამოქალაქო გმირობა გამოიჩინეს".

საბჭოს წევრებმა მათ იმ სამუშაოებზე მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაპატიმრებულებთან მიმართებაში გასწიეს, ასევე მათ ჯერ კიდევ საპატიმროებში დარჩენილ თანამებრძოლებს თანადგომა გამოუცხადეს-.ყოფილმა პატიმრებმა, თავის მხრივ, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარეს და აღნიშნეს, რომ „საპატიმროში გატარებულმა დღეებმა ისინი კიდევ ერთხელ დაარწმუნეს, რომ „სახალხო კრების" გზა ერთადერთი სწორი გზაა"-.შეხვედრაზე საუბარი ასევე „სახალხო კრების" სამომავლო გეგმებს შეეხო და აღინიშნა, რომ „სახალხო კრების" აღმასრულებელის საბჭო უახლოეს მომავალში ახალ სამოქმედო გეგმას წარმოადგენს.

**პირველი**

## დემოკრატიული მოძრაობა „თრიალეთის" დამფუძნებელს სოლიდარობას უცხადებს

დემოკრატიული მოძრაობა ტელეკომპანია „თრიალეთის" დამფუძნებელსა და დირექტორ ჯონი ნანეტაშვილს სოლიდარობას უცხადებს. როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა ვახტანგ ყოლბაიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ნანეტაშვილი ხელისუფლების მხრიდან პერმანენტული ზეწოლის, მისი ოჯახის წევრთა დაშინებისა და ტელეკომპანია „თრიალეთის" თავისუფლად ფუნქციონირებაში ხელის შეშლის გამო საფრანგეთის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით მიმართავს".


ვახტანგ ყოლბაია

— ქვეყანაში მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოში დამოუკიდებელი ჟურნალისტობა ერთ-ერთ ყველაზე საშიშ, მე კიდევ უფრო შორს წავალ და სიცოცხლისათვის საშიშ პროფესიად იქცა. „დემოკრატიული მოძრაობა" საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და უფლებადამცველ ორგანიზაციებს მიმართავს, საქართველოში თავისუფალი მედიის ისედაც მცირე გამონათებების ხელისუფლების მხრიდან საბოლოო განადგურების მცდელობებზე რეაგირება დაუყოვნებლივ მოახდინონ, — განაცხადა ყოლბაიამ.

მისივე თქმით, 26 მაისის ღამეს ძალოვანების მხრიდან ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის, მათი ცემისა და დაპატიმრების ფაქტების, ასევე ფოტორეპორტიორების საქმისა და ვახტანგ კომახიძის მიერ შვეიცარიაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის პროცესის დაწყებისთვის საკმარისი მოტივი იქნებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

## გილაურმა აბუ-დაბის ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის შედეგები შეაჯამა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გიკლაურმა აბუ-დაბიში ამასწინათ გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის შედეგები შეაჯამა.

როგორც მან გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სწორედ აღნიშნულმა ფორუმმა შექმნა ანტიკორუფციული საბჭო, რომლის მიზანიც დიდი ოცეულის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებაა. საბჭოში ბევრი ექსპერტი, ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინტერპოლის წარმომადგენელი არის შესული. როგორც გილაური აცხადებს, ის მთავრობის ერთადერთი წარმომადგენელი იყო, რომელიც ფორუმზე მიიწვიეს.

**მედიანიუსი**

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***რეზიდენტად მიიჩნევთ. ივანიშვილი მერაბიშვილს ურჩევს, სააკაშვილი დაარწმუნოს წავიდეს თანამდებობიდან, ან თავად გადადექიო. როგორ მოიქცევა მერაბიშვილი?***

— ვერ გეტყვით, როგორ შეიძლება იმოქმედოს იმიტომ, რომ ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ ორბიტაზე ვიმყოფებით. მე მერაბიშვილს ადამიანების რიცხვში არ განვიხილავ. ჩემთვის ის მხეცების წარმომადგენელია, რომლისთვისაც ადამიანის სისხლი, ადამიანის სიცოცხლე და ღირსება არაფრად ღირს. რა თქმა უნდა, ამიტომ ვერ შევძლებ წარმოვიდგინო, რა ნაბიჯებს გადადგამს მერაბიშვილი. ვფიქრობ, ივანიშვილის რჩევა ცოტა დაგვიანებულია. ადრე რომ ყოფილიყო, კიდევ გასაგებია. მაგრამ დღეს მერაბიშვილის გადადგომა, ან მისი მხრიდან სააკაშვილისთვის გადადგომის თხოვნა, ვერაფერს ვერ უშველის. იმიტომ, რომ სააკაშვილი არის სახელმწიფო დამნაშავე, კრიმინალი, ავაზაკი და ის ძალიან მძიმე პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო. ამდენად, ის გადადგება, გადმოდგება, თუ პარტერში დადგება, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ციხე სააკაშვილს არ აცდება.

***— შევარდნაძიდან დაწყებული, ყველა ივანიშვილს ურჩევს, დაცვა გაიძლიეროს და პირად უსაფრთხოებაზე მეტად იზრუნოს. შეიძლება მისი ფიზკური არსებობის საფრთხე დადგეს?***

— გაორმაგებულია საფრთხე მაგასთან ამ შემთხვევაში. ჩვენ ყველამ კარგად ვნახეთ, როგორ სასტიკად იყო განადგურებული ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლე და რა მექანიზმები ამუშავდა როგორც შიდა, ისე გარე. დარწმუნებული ვარ, რომ პატარკაციშვილი არის მოკლული საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის მიერ, რომელმაც ძალაუფლება ჩაიგდო საქართველოში და სააკაშვილი და მისი გარემოცვის ხელით ანადგურებს და სპობს ამ ქვეყნის ფასეულობებს. დარწმუნებული ვარ, ესენი ყველაფერს გააკეთებენ, არაფრის წინაშე არ გაჩერდებიან. ესენი არიან ეშმაკეულები. კონსტიტუციაზე, კანონზე, ზნეობაზე და მორალზე ლაპარაკიც ზედმეტია. არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ. ამიტომ მივმართავ საზოგადოებას. დღეს მნიშვნელოვანია არა ის, რას ლაპარაკობს და რას მოუწოდებს ივანიშვილი. არამედ ის, რა გამოძახილი ექნება მას ქართველ საზოგადოებაში. იმიტომ, რომ ივანიშვილის ქართული ოცნების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საერთო სახალხო ძალისხმევით და ქართული ღირსების აღდგენით, გახსენებით, რომ ჩვენ ოჯახები გვყავს და მომავალი უნდა ჰქონდეს ამ ქვეყანას. ეს ადამიანი იძლევა ამის ძალიან კარგ პლატფორმას, წინაპირობას. ოღონდ მარტო ის ვერაფერს ვერ გააკეთებს. ამაში უნდა ჩაერთოს ყველა ის ადამიანი, ვისთვისაც ღირსება სამშობლო, ღმერთი, შვილები და მომავალი რაღაცას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტს, ვიდრე საკუთარი უკანალი.

***— არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ ივანიშვილს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში დასდოს ბრალი. ითქვა, რომ რუსული ფულით საქართველოში პოლიტიკური ამბიციები ვერ დაკმაყოფილდება და რომ საქართველო არ იყიდებაო. რაზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება?***

— ყველაფერზე წავა. ვიმეორებ, ეს ხელისუფლება კი არა, კრიმინალური დაჯგუფებაა. მთავარია, მისცემს სააკაშვილს ამის უფლებას ქართველი ერი თუ არა.

***— ოპოზიციურ ფლანზე ლეგალური ფულის გამოჩენა აშინებს ხელისუფლებას?***

— ხელისუფლება კატასტროფის წინაშე დგას. ეს აბსოლუტურად ნათელია. ამიტომ ბუნებრივია, კედელთან არის მიყენებული და ყველაფერზე წავა. თუ არ მოხდება ისევ ბნელი ძალების დახმარება და თუ ისევ არ მოგვხდება ბასის კომბალი, სააკაშვილი განწირულია და მას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. თუ ისევ ბნელი ძალა ჩაერევა, მაშინ ყველაფერი ქართველი ხალხის მარიფათზეა. ვიმეორებ, აქ საქმე არის არა ივანიშვილზე იმდენად, რამდენადაც ქართველი საზოგადოების მზადყოფნაზე ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოვიდეთ.

# მამუკა კაციტაძე: „ამომრჩეველთა მარკირების გაუქმება დაუშვებელია“

ნათია ხურცილავა

**საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მუშაობა გრძელდება ხელისუფლებასა და იმ ოპოზიციას შორის, რომლებმაც ხელისუფლებასთან შეთანხმებას მიაღწიეს. ხელისუფლება ახალი ინიციატივით გამოდის, რაც ოპოზიციისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.**

რა სიურპრიზებზეა საუბარი, ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა კაციტაძე** გვესაუბრება.

***— ბატონო მამუკა, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რა სიახლეებია? როგორც ვიცით, გზადაგზა ცვლილებები და დამატებები შედის.***

— როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, მრავალთვიანი მოლაპარაკებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით დასრულდა იმით, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ წინადადებათა პაკეტზე თავისი პასუხები გასცა, რის საფუძველზეც ხელისუფლებასა და რიგ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმდა 12-პუნქტიანი შეთანხმება. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ვართ ამ შეთანხმების ერთ-ერთი პირველი სუბიექტი, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვთვლით, რომ თორმეტივე პუნქტი, რომელიც შეთანხმებულია და ჩაწერილია კონკრეტული ფორმულირებით, არის გაუმჯობესებული ვარიანტი არსებული საარჩევნო კოდექსისა და, შესაბამისად, საარჩევნო გარემოსი. ეს არ არის ის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა. ეს არ არის იდეალური, რაც იქნებოდა სასურველი, რომ ყოფილიყო, მაგრამ ეს აშკარად უკეთესია იმაზე, რაც დღეს არის.

***— დღეს რა ხდება?***

— მას შემდეგ, რაც შეთანხმება გაფორმდა და „ახალი მემარჯვენეების“ ინიციატივით შეიქმნა სარედაქციო ჯგუფი, მიმდინარეობს ამ შეთანხმების პუნქტების გადატანის პროცესი საარჩევნო კოდექსში.

***— უფრო კონკრეტულად?***

— 9 მუხლი უკვე ფორმულირებულია და კანონპროექტში დევს. მე-10 მუხლი ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტებასთან და დადგენასთან დაკავშირებით საპარლამენტო განხილვაშია, ალბათ, ამ კვირაში კანონად იქცევა. დარჩენილია ორი საკითხი, რომელზეც მიმდინარეობს დამატებითი მსჯელობა, რათა შევჯერდეთ, თუ რა ფორმულირებით უნდა აისახოს საარჩევნო კოდექსში მედია მონიტორინგისა და უწყებათაშორის კომისიის სტატუსი, რომელმაც უნდა მოახდინოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის მონიტორინგი კანონის საფუძველზე. ეს რაც შეეხება იმ 12 პუნქტს, რომელიც 27 ივნისის შეთანხმებაში იქნა დაფიქსირებული. რაც შეეხება ახალ გარემოებებს, რომელიც გაჩნდა აგვისტოს ბოლოს კანონპროექტში, ეს არის ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილება, მაგრამ ეს არ არის კანონი. ეს ჩაიწერა კანონპროექტში. იგივე წინადადებები სხვა შეთანხმებულ წინადადებებთან ერთად გაეგზავნა ვენეციის კომისიას.


მამუკა კაციტაძე

***— თქვენთვის ეს ახალი გარემოებები მოულოდნელი იყო?***

— შეთანხმებაში მყოფ პოლიტიკურ პარტიებთან ეს წინადადებები წინასწარ უნდა ყოფილიყო განხილული. აქედან გამომდინარე, ეს პრინციპი ჩვენთვის მიუღებელია. ასეთი სიურპრიზული ურთიერთობების პრინციპი მიუღებელია. ხელისუფლება აცხადებს, რომ ახალი წინადადებები არ არის დოგმა და ისინი განიცდიან არაერთ ცვლილებასა და ტრანსფორმაციას მანამ, სანამ საპარლამენტო განხილვები დაიწყება და სანამ ვენეციის კომისიის დასკვნა ჩამოვა. ოქტომბრის ბოლოს ვენეციის კომისია ჩამოვა და პირადად მე საშუალება მექნება, ვენეციის კომისიას გადავცე „ახალი მემარჯვენეების“ პოზიცია, რომ ჩვენ ხელი მოვაწერეთ კონკრეტულ 12-პუნქტიან შეთანხმებას, რომლის თორმეტივე პუნქტი აისახა საარჩევნო კოდექსში, რომ ჩვენ არ ვართ მონაწილე იმ ახალი წინადადებისა, რომ ეს წინადადებები ჩვენთან არ არის შეთანხმებული. მეტიც, ჩვენ ამ ახალი წინადადებების წინააღმდეგი ვართ.

***— რისი წინააღმდეგი ხართ?***

— ვიდეოთვალისა და მარკირების გაუქმების, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის წინასწარ გამოქვეყნების ნაწილში ადგილობრივი სტრუქტურების ხელმძღვანელების საარჩევნო კამპანიაში ჩართვის ნაწილში. თუ ხელისუფლებას აქვს მცდელობა, რომ ახალი წინადადებები გაყიდოს, გაასაღოს Yთუ შეფუთოს, როგორც შეთანხმების ნაწილი, ეს, უბრალოდ, არ გამოვა. ეს იქნება მათი დამოუკიდებელი შეთავაზება, როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ვფიქრობ, ეს შეთავაზებები ვერ აისახება საარჩევნო კოდექსში, თუ ხელისუფლებას აინტერესებს ოპოზიციური აზრი. შესაბამისად — ახალი კოდექსის ლეგიტიმაცია ოპოზიციის მხრიდან. თუმცა, ჩვენ ვთვლით, რომ იმდენად მნიშვნელოვანია საკითხები, რომლებიც შეთანხმებაშია ჩაწერილი, განსაკუთრებით ამომრჩეველთა ერთიანი სიის დადგენის მექანიზმი, რომელიც ძალიან მალე კანონად იქცევა. ჩვენ ნამდვილად არ გვინდა, რომ ამ პროცესს მოვწყდეთ. არ გვინდა, ამ კამათს გადავაყოლოთ შეთანხმების პუნქტები. ისინი აუცილებლად აისახება საკანონმდებლო სივრცეში. თუმცა, ამის პარალელურად, არ ვაპირებთ ყურადღების მოდუნებას ახალ წინადადებებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ეს საკითხები მნიშვნელოვნად იქნება ტრანსფორმირებული.

***— ბატონო მამუკა, ძალიან მნიშვნელოვანია მარკირების, ვიდეოთვალის საკითხი, რომლის ამოღებაზე საუბრობს ხელისუფლება და რაც თქვენთვის, როგორც აცხადებთ, სიურპრიზი აღმოჩნდა. რამდენად შეძლებთ, ვენეციის კომისია დაარწმუნოთ, რომ ეს არ აისახოს კანონში?***

— ამას ძალიან მალე ვნახავთ. შეთანხმების შემდეგ კეთდება სიურპრიზი. ეს, თავისთავად, ცუდია, მაგრამ, ახალ წინადადებებთან დაკავშირებით იქვე რომ კეთდება განმარტება, რომ ეს არ არის ხელისუფლების შეუვალი პოზიცია და ისინი მზად არიან, ეს წინადადებები მოხსნან, კარგია. რა გამოვა და რამდენად დავარწმუნებთ, ერთი მხრივ, ვენეციის კომისიას, მეორე მხრივ, ქართველ საზოგადოებასა და ხელისუფლებას, რომ ეს ყველაფერი ავნებს პროცესს და ვერაფრით წაადგება ნდობისა და ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, ამას პროცესი გვაჩვენებს.

***— საბოლოო ვადები როდის არის?***

— საშემოდგომო სესიის ბოლომდე ეს პროცესი უნდა დასრულდეს, როგორც იყო ნათქვამი ჯერ კიდევ მოლაპარაკების დაწყებამდე.

***— მოლაპარაკებები გრძელდება?***

— რა თქმა უნდა, უწყვეტ რეჟიმში გრძელდება, სარედაქციო ჯგუფის ფორმატში. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან იურიდიულმა კომიტეტმა შეხვედრა გამართა ამ პაკეტთან დაკავშირებით, სადაც ვმონაწილეობდით. ასევე შეხვედრა იყო ევროსაბჭოს სპეციალურ კომისიასთან. არეალი და საშუალება იმისა, რომ გავაგებინოთ ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებას, რა არის შეთანხმებული და რა — მიუღებელი, ამის საშუალებები გვქონდა და გვექნება. შემდეგ შედეგებით ვიმსჯელოთ, რა შევძელით და რა — ვერა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ნეგატიური ინიციატივები კოდექსისა და საარჩევნო გარემოსთვის არ გახდება კანონის შემადგენელი ნაწილი.

***— ანუ კანონად არ იქცევა...***

— დიახ. ამ მიმართულებით მე ყველანაირად ვიმოქმედებ და ვიმუშავებ ხელისუფლებასთანაც, ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებასთანაც.

***— რამდენად რეალურია, რომ საარჩევნო სიის დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე გახდეთ?***

— ამ კომისიაში ოპოზიციის 7 წარმომადგენელი ვიქნებით. შესაბამისი წარდგინებისას და ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ თეორიულად შვიდივეს აქვს შესაძლებლობა, გახდეს კომისიის თავმჯდომარე. თუმცა, არ ვიცი, შვიდივეს ექნება თუ არა ამის სურვილი. ამიტომ ერთი შვიდზეა შანსი, რომ ვიყო ამ კომისიის თავმჯდომარე. ამ თემაზე ჯერ საუბარი, უნდა გითხრათ, რომ ნაადრევია. თუმცა, ერთი რამ შემიძლია გითხრათ — „ახალი მემარჯვენეები“, ვართ რა ამ შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილე და ამ პროცესის ერთ-ერთი აქტიური შემქმნელი, ვაპირებთ, რომ ეს კომისია მაქსიმალური ეფექტურობით ამოქმედდეს. „ახალი მემარჯვენეების“ მხრიდან ყველა რესურსი იქნება გამოყენებული, რათა ამ კომისიამ მუშაობა დადგენილი ვადების ფარგლებში სერიოზული შედეგით დაასრულოს.

# მოაკვლევინებენ თუ არა სააკაშვილ-მერაბიშვილი ციხეში სომეხ პატიმარს?

შალვა ჯოხაძე

**რუსთავის მე-6 საპყრობილეში გამოკეტილი ვაგან ჩახალიანის საქმეს სტრასბურგის სასამართლო დაჩქარებული წესით განიხილავს. ჩახალიანმა რამდენიმე დღის წინ უვადო შიმშილობა გამოაცხადა, თუმცა, სასულიერო პირების მოთხოვნით, ეს აქცია 12 ოქტომბერს შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ სომხეთის კათოლიკოსმა ჩახალიანის პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი ჩვენს პატრიარქთან შეხვედრის დროსაც კი დააყენა. საქმე ისაა, რომ საქართველოში ვიზიტის წინ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური სომხებისაგან გარეგინ მეორემ პეტიცია მიიღო. 1200 ხელმომწერი მისგან საქართველოს სასულიერო თუ საერო ხელმძღვანელობასთან ჩახალიანის გათავისუფლების მოთხოვნის დაყენებას ითხოვდა.**

ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩახალიანის თემამ თავის დროზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე მევლუდ ჩავუშოღლუსა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაზეც გაიჟღერა.

ამ დღეებში კი სომხურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროსასამართლოში ვაგან ჩახალიანის საქმის დაჩქარებული წესით განხილვის გამო საქართველოში შეშფოთებულნი არიან. ასეთი შინაარსის განცხადება ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერკირის“ პროგრამების კოორდინატორმა რობერტ ტატოიანმა გააკეთა. მისი თქმით, ე.წ. ჯავახკელი სომხების პრობლემების შესახებ ევროსასამართლო პირველად იმსჯელებს, ეს კი უკვე არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური სიბრტყეა. ტატოიანის თქმით, საქართველო იძულებული გახდება, რომ ევროსტრუქტურებისადმი აღებული ვალდებულებები შეასრულოს, კერძოდ, იზრუნოს სომხურ ენაზე საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების გაძლიერებაზე, ასევე — სომხური ეკლესიის მდგომარეობაზე.

ტატოიანის განცხადებით, ჩახალიანს რამდენჯერმე შესთავაზეს, რომ ბრალი ეღიარებინა და სააკაშვილისათვის შეწყალების თხოვნით მიემართა. მას დაჰპირდნენ, რომ ამის მერე გაუშვებდნენ, თუმცა, პატიმარმა აღიარებითი ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ ჩახალიანი 2008 წელს ადგილობრივი სამართალდამცავებისათვის წინააღმდეგობის გაწევის, იარაღის შეძენა-შენახვის, მასობრივი არეულობების ორგანიზების ბრალდებით დააკავეს. ვაგან ჩახალიანთან ერთად დააკავეს მისი ძმა და მამაც. ვაგან, რუბენ და არმენ ჩახალიანებს სრულიად ერთნაირი ბრალდებები წაუყენეს.

ვაგან ჩახალიანის ადვოკატები მიიჩნევდნენ, რომ ის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულმა პროკურატურამ პოლიტიკური მოტივით დაიჭირა. ამის თქმის საფუძველს მათ ის ფაქტი აძლევდა, რომ ჩახალიანის ოჯახში მიდიოდნენ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმის სანაცვლოდ მას თავისუფლებას სთავაზობდნენ.

ჩახალიანის ინტერესებს სასამართლოში „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი ნინო ანდრიაშვილი იცავდა. ჩახალიანმა ადვოკატს განუცხადა, რომ იმ უსამართლობის წინააღმდეგ გამოდიოდა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში უმცირესობების მიმართ არსებობს. ჩახალიანის აზრით, საქართველოს ხელისუფლება ამ რეგიონის მოსახლეობისთვის ქართული ენის სასწავლებლად არაფერს აკეთებს, რის გამოც ეთნიკური სომხები სახელმწიფო სტრუქტურებში ვერ საქმდებიან და ა.შ. ჩახალიანის აზრით, მისი პოლიტიკური დევნის მიზეზი ეს მოსაზრებები გახდა. აღსანიშნავია, რომ რუბენ და არმენ ჩახალიანები სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, მაგრამ ვაგან ჩახალიანთან დაკავშირებით დყენებული იგივე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.


ვანო მერაბიშვილი
მიხეილ სააკაშვილი

საბოლოოდ, ჩახალიანს 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. დღეს ის რუსთავის №6 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდის სასჯელს. პატიმარმა 5 ოქტომბერს უვადო შიმშილობა გამოაცხადა. ამის მიზეზად მის მიმართ არსებული არაადამიანური მოპყრობა დაასახელა, რითაც მისი პატივი და ღირსება ილახება. მან ზეწოლის შეწყვეტა და ციხეში არსებული პირობების გაუმჯობესება მოითხოვა. თუმცა, სასულიერო პირების მიმართვის შემდეგ, 12 ოქტომბერს, მან შიმშილობა შეწყვიტა.

მის მიმართ გამოვლენილ არაადამიანურ მოპყრობაზე ჩახალიანმა ადრეც გაამახვილა ყურადღება. ჩახალიანის პრობლემების შესახებ მისი კიდევ ერთი ადვოკატი სტეპან ვოკსანიანი ჯერ კიდევ 14 სექტემბერს იუწყებოდა. მისი მტკიცებით, ბადრაგის თანამშრომლებმა ჩახალიანს წაართვეს წიგნები, არ აძლევდნენ ციხის მაღაზიაში საკვებისა და ნივთების შეძენის უფლებას, ასევე — ტელეფონით სარგებლობისა და პაემნის უფლებას. ადვოკატის განცხადებით, ჩახალიანი სამ წელიწადზე მეტია ციხეშია და ამ ხნის განმავლობაში მეუღლე და შვილი მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც სულ რაღაც 15 წუთით.

„კანონის მიხედვით კი მას ოჯახის წევრთან პაემნის უფლება თვეში ერთხელ, 24 საათის განმავლობაში აქვს. ჩახალიანს საშუალება არ გააჩნია, შეხვდეს სომეხ მღვდელს. მას ემუქრებიან და ზეწოლის ქვეშ ამყოფებენ“, — აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, საქართველოში სასამართლო პროცესის მსვლელობისას ჩახალიანის უფლებები უხეშად ირღვეოდა, არ ჰყავდა თარჯიმანი და, იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ ენას არ ფლობს, უბრალოდ, ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა.

„ქართული მხარე ჩახალიანის საქმის საერთაშორისო სასამართლოში განხილვის პერსპექტივით შეშინებულია. მათ არაერთხელ სცადეს, ჩახალიანი დაერწმუნებინათ, შეწყალების თხოვნაზე ხელი მოეწერა და დაჰპირდნენ კიდეც, რომ ამ გზით იგი თავისუფლებას მოიპოვებდა. ეს ქმედებები კი დაკავშირებულია ქართული მხარის მცდელობასთან, საერთაშორისო სასამართლოში სასამართლო გარჩევას თავი აარიდოს“, — განაცხადა ვოსკანიანმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე თვის წინ ვაგან ჩახალიანის მოსალოდნელ ლიკვიდაციაზე ალაპარაკდნენ. სომხურმა გაერთიანება „ერკირმა“ გაავრცელა პრეს-რელიზი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩახალიანის ფიზიკურ ლიკვიდაციას გეგმავდა. განცხადებას საფუძვლად ის დაედო, რომ ერთ დღესაც პატიმარი გლდანის საპყრობილიდან რუსთავში გადაიყვანეს, სადაც შესაძლო პროვოკაციებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობებია.

გაერთიანება „ერკირი“ პროვოკაციაში მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს ადანაშაულებდა. „ერკირი“ ხელისუფლებას ჩახალიანის უსაფრთხოების გარანტიასა და მის გლდანის საპყრობილეში დაბრუნებას სთხოვდა. თუმცა, როგორც ხედავთ, მათი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა.

# ბოკერია-უგულავას გუნდი ნაციონალურ მოძრაობას ტოვებს?

ქეთი ხომერიკი

როდის დაიწყება სერიოზული რღვევა სახელისუფლებო გუნდში, ხელისუფლებაში მყოფი რომელი ძალები გადმოსხდებიან ივანიშვილის გუნდში, გადადგება თუ არა მერაბიშვილი, რა ნაბიჯებს გადადგამს სააკაშვილი ივანიშვილისა და ,,განდგომილი ნაციონალების" წინააღმდეგ, ხელისუფლების ჩანაცვლების ოკეანის გაღმა დაწერილ სცენართან ხომ არ გვაქვს საქმე და რას აპირებს წინააღმდეგობის მოძრაობა? .,,ახალი თაობა" ,,წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერს სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.

**სოსო მანჯავიძე:**

— როგორც კი განაცხადა ივანიშვილმა თავისი გეგმების შესახებ მაშინვე აღვნიშნე, რომ ეს განზრახვა ნიშნავს საქართველოში პოლიტიკური რუკის შეცვლას, ტექტონიკურ ძვრებს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისმა შემდგომმა ნაბიჯებმა ჩემი ეს მოსაზრება დაადასტურა კიდეც. ივანიშვილის ორივე განცხადება აშკარად ისახავს მიზანს, რომ საქართველოში მოხდეს გარკვეული პოლიტიკური ძალების გაყოფა და როგორც თვითონ ბრძანებს, დადგეს დიდი სიმართლის თქმის დრო. აი, ამაზე ჩვენ მუდამ ვსაუბრობდით, ვცდილობდით, რომ საქართველოში ეს დრო დამდგარიყო და ახლა, ამავე განზრახვით ისეთი დიდი ძალის შემოსვლა, როგორიც ბატონი ბიძინაა, ამ პროცესს დააჩქარებს, რასაც, მივესალმებით.

***— ივანიშვილის დამოკიდებულებას მედიის, კერძოდ, ტელეკომპანია ,,მაესტროსა" და ,,კავკასიის" მისამართით როგორ შეაფასებდით?***

— ჩვენ რომ ვთქვათ, რომ ტელევიზიები საქართველოში არ არიან დამოკიდებული სახელმწიფო სტრუქტურებზე, კერძოდ, შსს –ზე და მის მავნე ზემოქმედებაზე, არ ვიქნებით მართლები ხომ. ყველამ კარგად ვიცით, რომ არსებობს იმიტაციური დემოკრატიის მოდელი. ამ მოდელის მიხედვით უნდა არსებობდეს ერთი, ან ორი ტელევიზია, რომელიც შექმნის დემოკრატიულობის ფანტურაჟს, რომელსაც არ ექნება დაფარვა. აქვე გეტყვით, რომ უდიდეს პატივს ვცემ იმ ტელეკომპანიებში მომუშავე ჟურნალისტებს, თუმცა ხელისუფლება რომ ათასგვარი ხერხით ცდილობს მათ მოქცევას გარკვეულ ჩარჩოებში, ეს ცხადია. მოდით, საკითხი შემდეგნაირად დავსვათ –კიწმარიშვილი რასაც მართავდა, ის დამოუკიდებელი ოდესმე ყოფილა? იმის თქმა, რომ ეს ტელეკომპანიები არიან აბსოლუტურად დამოუკიდებელნი და ებრძვიან რეჟიმს არ შეიძლება, თუმცა მათ ამ ტირანიის პირობებში გარკვეულწილად შეინარჩუნეს მებრძოლი სული, რაც უდავოდ დასაფასებელია.

***— უკვე ცნობილია, რომ ივანიშვილი ,,რესპუბლიკელებთან" და ალასანიას პარტიასთან აპირებს თანამშრომლობას, ივანიშვილის პოლიტიკურ გემოვნებას როგორ შეაფასებდით, რამდენად სწორად შეარჩია მან მომავალი პარტნიორები?***

— ამას გვანახვებს მომავალი, ბატონი ბიძინას პოლიტიკური გემოვნება უფრო კარგად გამოჩნდება მისი შემდგომი მოქმედებებიდან. მისი თქმით, მას კითხვები არ აქვს ალასანიას პარტიასთან, თუმცა, მომავალი გვიჩვენებს, გაუჩნდება თუ არა მას რაიმე ტიპის კითხვები. გარდა ამისა, მე არ ვიცი რას გულისხმობს ბატონი ბიძინა პარტნიორობის მცნების ქვეშ. ერთს ვიტყვი, ღმერთმა დალოცოთ და გააძლიეროთ, თუ მათი ხედვები და მიზნები ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება და ამას ჩვენ უახლოესი მომავალი დაგვანახვებს.

***— ივანიშვილი დამოუკიდებელი ფიგურაა, თუ ხელისუფლების მიერ გააქტიურებული, ანდაც, რუსეთის, ან აშშ–ს მიერ ? ვინ დგას მის უკან?***

— ვილაცის უკან შეიძლება იდგეს, ან ხელისუფლება, ან სხვა ქვეყნის სპეცსამსახური მაშინ, თუ ეს ადამიანი არის დამოკიდებული, ან დაფინანსების წყაროებით, ან წარსულში არსებული კომპრომატებით ამ სპეცსამსახურებზე. ამას ჰქვია, როცა ვილაცის უკან ვილაც დგას და ის არის მარიონეტი. ივანიშვილი კი ვთვლი, რომ არავის მარიონეტი არ არის. ივანიშვილის გადაწყვეტილება ცხადია, ეფუძნება დიდწილად მის პოლიტიკურ შეხედულებებს და თავისუფალ ნებას. ახლა, მე ძალიან ძნელად წარმომიდგენია საქართველოში რომელიმე სახელმწიფო ჩინოვნიკი, რომელიც უბრძანებდა ივანიშვილს, რომ მას გადაედგა რაიმე ნაბიჯი, იმიტომ, რომ მას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ არავის ნებას არ დაემორჩილოს.

***— ხელისუფლებამ უკვე აღნიშნა, რომ ის რუსული ინტერესების გამტარებელია...***

— ხელისუფლების ბოდვებზე კომენტარს არ გავაკეთებ. ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც პირდაპირ თანამშრომლობს რუსეთის სპეცსამსახურებთან. ივანიშვილი არის ძალიან სერიოზული ფიგურა, დიდი კაპიტალის პატრონი, ეს კაპიტალი კი მოიპოვება გარკვეული გონებრივი მონაცემებითა და კავშირების შედეგად, შესაბამისად, ის შეიძლება პარტნიორობდეს ვინმესთან და ეს ბუნებრივიცაა. გონიერი ადამიანი მარტო არაფერს გეგმავს, ჰოდა, ალბათ, ის პარტნიორობს კიდეც გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან საზღვარაგრეთაც და აქაც. რაც შეეხება იმას, რომ ივანიშვილი ვილაცის აგენტია, იმდენად კომიკურია, როდესაც ამაზე საუბრობს პალიკო კუბლაშვილი, რომ მეცინება და მეტი არაფერი. ერთი სიტყვით, ივანიშვილს არც რუსეთის კაცად და არც ხელისუფლებასთან გარიგებულად არ მივიჩნევ, მან შეიძლება დაამყაროს, უფრო სწორად აუცილებლად დაამყარებს კონტაქტებს გარკვეულ ძალებთან, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ხელისუფლებაში, თანაც აუცილებლად. და, რა თქმა უნდა, ეს ჯგუფებიც წამოვლენ ამაზე. დაახლოებით 2–3 კვირაში ჩვენ დავინახავთ ძალიან სერიოზულ რღვევებს სახელისუფლებო გუნდში. მათ ღამეები აღარ სძინავთ უკვე.



სოსო მანჯავიძე

***— რას გულისხმობთ, ნაციონალური მოძრაობის წონიანი ფიგურები ივანიშვილის ნავში გადასხდებიან?***

— პრინციპში კონტაქტები დამყარებულიც აქვს უკვე. გაიხსენეთ ჩემი წინა ინტერვიუები, სადაც გეუბნებოდით, რომ სააკაშვილს უმთავრდება ლეგიტიმაცია და გარკვეული ძალები, რომლებიც არიან სახელისუფლებო შტოებში შეეცდებიან შეიქმნან თავიანთი მომავალი პოლიტიკური და ფიზიკური არსებობისათვის გარკვეული საფარველები. ეს ასე იქნება, ყველა რეჟიმი ასე მთავრდება. იმასაც გეუბნებოდით, რომ სააკაშვილი კიდევ არავითარ შემთხვევაში არ დაელოდება ამას და არ შეიძლება დაესწროს თავის პოლიტიკურ პანაშვიდებს და გასვენებას–მეთქი. და ესეც ასე იქნება. სააკაშვილი შეეცდება რამენაირად ღიად დაუპირისპირდეს იმ გუნდს, რომელიც იყო ნაციონალურ მოძრაობაში, ამჟამადაც არის ჯერჯერობით, მაგრამ მას უპირისპირდება.

***— და რომელი გუნდია ეს?***

— ეს გუნდი ამჟამად კონსოლიდირებული არ არის, მაგრამ ამ გუნდში გიგი უგულავა, რომ მოიაზრება, ეს ცხადია. დიახ, უგულავა უპირისპირდება სააკაშვილს.

***— მერაბიშვილიც? სხვათა შორის, ივანიშვილმა ურჩია მერაბიშვილის გადადექიო... ხომ არ ვიხილავთ მერაბიშვილს ივანიშვილის გუნდში?***

— არა, მერაბიშვილი არასდროს არ და ვერ გადადგმას სააკაშვილის საწინააღმდეგო ნაბიჯს. მერაბიშვილი სააკაშვილთან ერთად, ან გაიმარჯვებს, ან დამარცხდება, რადგან მერაბიშვილი სააკაშვილის გარეშე არ არსებობს, არც სააკაშვილი მის გარეშე. ის არის მისი ხერხემალი.

***— ბოკერია–უგულავას გუნდი ნაციონალურ მოძრაობას მალე დატოვებს?***

— დიახ, თუმცა მე არ ვუკავშირებ ამას ბიძინა ივანიშვილს, ეს ასე ავტომატურად მოხდება, ვიმეორებ, სახელისუფლებო გუნდში საშინელი რღვევა დაიწყება. ივანიშვილმა ამ შემთხვევაში შეასრულა ყინულმჭრელის როლი, მან ეს ბალანსი, ასე ვთქვათ, დაარღვია.

***— მახსენდება, საუბრები ალასანია–ბოკერიას ,,ფლირტის" შესახებაც... შემთხვევით ხელისუფლების ჩანაცვლების ოკეანის გაღმა დაწერილ სცენართან ხომ არ გვაქვს საქმე?***

— ჩვენ არ უნდა ვისაუბროთ, რომ ეს არის რაღაც დაწერილი სცენარის განხორციელება. ივანიშვილი თვითონ გეგმავს თავის მოქმედებებს და თუ რამდენად კვალიფიციურად დაგეგმავს ამაზეა დამოკიდებული ძალიან ბევრი ადამიანის ბედი, თავისი მომავალიც და მე წარმატებებს ვუსურვებ მას.

***— და რა ნაბიჯებს გადადგამს სააკაშვილი ივანიშვილისა და ,,განდგომილი ნაციონალების" წინააღმდეგ ?***

— სააკაშვილი შეეცდება და გადადგამს კიდეც ყველაზე უფრო რადიკალურ ნაბიჯებს. სააკაშვილი გადავა ფიზიკურ დაპირისპირებაზე. ის და მისი გუნდი შეეცდება სადამსჯელო მანქანის ამუშავებას ივანიშვილისა, თუ სხვა განდგომილთა წინააღმდეგ. ეს არის საინფორმაციო, ოპერატიულ სადამსჯელო თუ სხვა ტიპის ღონისძიებები. ეს ასე იქნება და არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ თეთრი ხელთათმანებით რაღაც მოხდება.

***— და ივანიშვილი ამხელა სადამსჯელო მანქანასთან გამკლავებას რამდენად შეძლებს ?***

— სწორი მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში მას ამის ყველა რესურსი გააჩნია. ვიმეორებ, ივანიშვილის გამოჩენამ დააჩქარა რღვევა სახელისუფლებო გუნდში. ვნახოთ, რა იქნება, უახლოესი მომავალი დაგვანახვებს რაც მოხდება, თუმცა ქარგა იქნება ასეთი – სამწუხაროდ, უმძიმესი პროცესები წავა საქართველოში.

***— და თქვენ სად იქნებით ამ დროს ?***

— ჩვენ ვაკეთებთ იმას, რის გაკეთებასაც ვგეგმავდით – საპროტესტო მუხტის ორგანიზებას ვახდენთ. აქციებს ვიწყებთ 15–დან, რომელიც ყოველ კვირა გაიმართება და საკმაოდ მრავალრიცხოვანი იქნება. ასევე ვაპირებთ, რომ დავიწყოთ კომპანია მოსახლეობის იდენტიფიკაციის მოთხოვნით და ამისთვის გვაქვს შემუშავებული მთელი რიგი ტექნოლოგიებისა და წინადადებებისა. გარდა ამისა, ვაპირებთ განვაგრძოთ მუშაობა ევროსტრუქტურებთან, სადაც უახლოეს მომავალში საკომიტეტო მოსმენები იქნება, რაც ჩვენი და ობიექტივის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. აქციები უფლებრივი მოთხოვნით გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოში არ შეიცვლება ეს კაციჭამია, ბოროტი ხელისუფლება, რომელიც წარმოუდგენელი შიშისა და ტერორის ატმოსფეროში აცხოვრებს ხალხს და იწვევს ამ ხალხის დეგრადაციას.

# მზადდება თუ არა ხელისუფლების ხავერდოვანი გადაცემა — „ვარდების რევოლუცია-2"?

**პირველი შეთავაზება გაკეთებულია, კენჭი ნაყარია და პირველი ალიანსის სუბიექტები სახეზეა: ივანიშვილის ჯერ არშექმნილი პარტია, რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები. ვინ იქნება შემდეგი? ნებისმიერი ლეიბორისტების, ქრიატიან–დემოკრატების, ახალი მემარჯვენეებისა და ეროვნულ–დემოკრატების გარდა.**



ნინო მეტრეველი

რითი მოხიბლეს ივანიშვილი რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა?

„მრავალ ბატალიებში გამოცდილებით, პოლიტიკური ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსითა და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით". რაც შეეხება „თავისუფალ დემოკრატებს," მათ ბიზნესმენი „იმედისმომცემ" პოლიტიკურ ორგანიზაციად მიიჩნევს, თავად ალასანიას კი – „ქართული სინამდვილის ერთ-ერთ წონად და ანგარიშგასაწევ ფიგურად".

როგორც იქნა, ვილაცამ დაინახა და დააფასა ის, რითაც რესპუბლიკელებს მუდამ მოაქვთ თავი და რასაც ქართველი ამომრჩეველი ნაკლებად აფასებს, ისევე, როგორც ალასანიას ამბიცია დაკმაყოფილდა მისი, როგორც ყველაზე ანგარიშგასაწევი ფიგურის სტატუსის მინიჭებით.

სულ რამდენიმე დღის წინ გაყრილი რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიის კვლავ დაალიანსება ცოტა სასაცილოც კია. მათი პარტნიორობა, როგორც ჩანს, ცაშია გადაწყვეტილი, რამდენჯერ დასცილდნენ ერთმანეთს, თან საკმაოდ სერიოზული არგუმენტებითა და ბრალდებებით, იმდენჯერ შერიგდნენ. ალასანიაზე ყოფილი პარტნიორი ზვიად ძიძიგური ამბობს, რომ მას უფრო დაშლის ნიჭი აქვს, ვიდრე გაერთიანების და, სადაც მივა, ყველა გაერთიანებას დაშლის. იმავეს ამბობენ რესპუბლიკელებზე, რომ ისინი პარტნიორებთან თუ პარტნიორები მათთან დიდხანს ვერ ძლებენ მათი ამბიციების გამო. ამის მიუხედავად, ყველა ეს პოლიტიკური ძალა და კიდევ სხვები შეიძლება კვლავ ერთად აღმოჩნდნენ.

ექვსიანის დაშლის შემდეგ რესპუბლიკელები სახარბიელო მდგომარეობაში ვერ იყვნენ. არჩევნებზე მარტოები ბარიერს რომ ვერ გადალახავენ, თავადაც კარგად იციან, არადა, საპარტნიორო ძალა არსად ჩანდა. ალასანიამ მიატოვა, ეროვნული საბჭო ცალკე წავიდა, ახლებზე ლაპარაკიც არ უნდათ, ისევე, როგორც ახალ მემარჯვენეებს მათზე და უცებ ნანატრივით ციდან ივანიშვილი ჩამოუვარდათ. ამიტომაც ვერ მოთოკეს სიხარულის კივილი.

რესპუბლიკელებიც და ალასანიაც პროამერიკულ ძალებადაა მიჩნეული, თავად ივანიშვილი – რუსულად, ამიტომ ივანიშვილის მხრიდან პარტნიორებად პროამერიკული ძალების არჩევა შეიძლება ამერიკულ-რუსულ პროექტად ჩაითვალოს. ივანიშვილის გაპოლიტიკებაში ასეთი ვერსია დევს კიდეც. თავად ბიზნესმენი მოსაზრებას მისი პრორუსული წარმომავლობის შესახებ აბათილებს იმით, რომ ევროპასა და ამერიკაში უმწიკვლო ბიზნესმენის სახელით სარგებლობს და რუსეთის ხელისუფლების გრძელი ხელი მის ბიზნესს ამიტომ ვერ მისწვდა. ამ ლოგიკით რუსეთი დემოკრატიისა და სამართლიანობის მექა Yყოფილა.

რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები კი არიან ცნობილნი პროდასავლურ ძალად, მაგრამ ხანდახან პოლიტიკური იაღლიშები მოსდით. ასე მაგალითად, რესპუბლიკელები გადასარევად თანამშრომლობდნენ პირველ ეტაპზე პრორუსული იმიჯის პატარკაციშვილთან. გაერთიანებულ ოპოზიციას პატარკაციშვილი აფინანსებდა. უსუფაშვილი და ძიძიგური მასთან ლონდონშიც იმყოფებოდნენ.

უფრო რთულად ჰქონდა საქმე ამ კუთხით ალასანიას. ის პრორუსულ ძალად ცნობილ ზურაბ ნოღაიდელთან მიდიოდა შეთანხმებაზე ადგილობრივი არჩევნების წინ. უფრო მოგვიანებით სოზარ სუბარისგან გაირკვა, რომ ის ევროპაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრსაც შეხვდა ადგილობრივი არჩევნების დაფინანსების სათხოვნელად. ეს ინფორმაცია ნინო ბურჯანაძემაც დაადასტურა. ასე რომ, ივანიშვილისა და ამ ორი ძალის ალიანსით არ შეიძლება დაბეჯითებით თქმა, რომ ისინი მაინცდამაინც დასავლეთის რჩეულები არიან სააკაშვილის შესაცვლელად. მათთან თანამშრომლობა, დიდი შანსია, ივანიშვილის პოლიტიკური ხრიკიც იყოს სათქმელად, რუსული ძალა რომ ვიყო, რესპუბლიკელებსა და ალასანიას ჩემთან რა უნდათო.

საინტერესოა, რომ ივანიშვილის მიერ დაწუნებული ქართული პარტიის ლიდერმა და „მაესტროს" მმართველმაეროსი კიწმარიშვილმა, ყველასთვის მოულოდნელად, იქით შესთავაზა ივანიშვილს თანამშრომლობაც და „მაესტროს" მმართველი კომპანიის ერთ ლარად გადაცემა. „გიწვდით ხელს, ერთად წავიდეთ იმ მიზნისკენ, რომელსაც საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის დასრულება და წარმატებული ქვეყნის აშენება ჰქვია", – განაცხადა კიწმარიშვილმა. მისგან გაირკვა, რომ მილიარდერი ბიზნესმენი მოლაპარაკებას აწარმოებს ირაკლი ოქრუაშვილთან. სოზარ სუბარი ივანიშვილს ისედაც მოსწონს, პირველივე განცხადებაში შესთავაზა პარტნიორობა. მისი ინტერესების მიღმა მხოლოდ ეროსი რჩებოდა. იმანაც, მე რა, ფეტვი ხომ არ მირევიაო და იქით შესთავაზა თავი ბიძინა ივანიშვილს. ახალმა ტალღასავით აგორებულმა პოლიტიკურმა პროცესმა ქართული პარტია ჩიხიდან პოლიტიკურ ასპარეზზე მსუბუქად დააბრუნა.

პროცესები ისეთი სისწრაფით ვითარდება და ივანიშვილის ირგვლივ ისეთი ხალხი იკრიბება, გეგონება, „დეჟავიუ" დაგვემართა და ის პროცესები, რომლებიც ახლა მიდის, ერთხელ უკვე ნანახი გვაქვს, 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს, სახეების მცირე ცვლილებებით. იმ რევოლუციაში, ისევე, როგორც ახალ ერთობაში, არ მონაწილეობდნენ ახლები, ლეიბორისტები და ქრისტიან-დემოკრატები. დანარჩენები, ბიძინა ივანიშვილის ჩათვლით, სხვადასხვა დოზითა და ფორმით მონაწილეობდნენ შევარდნაძის ხელისუფლების ხავერდოვან ცვლაში: რესპუბლიკელები, კონსერვატორები, ხალხის პარტია, ეროვნული ფორუმისა და ქართული პარტიის ლიდერები, ბურჯანაძე-ალასანია-გაჩეჩილაძე.

ამას თუ დავუმატებთ ბიზნესმენის განცხადებას, რომ ის მზადაა ითანამშრომლოს ხელისუფლების იმ წევრებთან, რომლებიც „დროულად მოეგებიან გონს". არ მალავს სიმპათიებს ვანო მერაბიშვილისადმი, პირიქით, მოუწოდებს მას გადადგომისკენ, რის შემდეგაც, მისი აზრით, მერაბიშვილი ხალხის სიყვარულს შეინარჩუნებს და, თუ გავითვალისწინებთ ევროპიდან კიწმარიშვილის მიერ ჩამოტანილ ამბავს ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე, მაშინ ერთობის შექმნისკენ აღებული მალალი ტემპიც გასაგებია და ძველი თანამებრძოლების კვლავ შეკრების დიდი სურვილიც არაა აუხსნელი.

ეყრება თუ არა „ვარდების რევოლუცია-2"-ს საფუძველი და გამეორდება თუ არა ხელისუფლების ხავერდოვნად გადაცემის გამოცდილი პროექტი, ამას დრო გვიჩვენებს.

# გიორგი თავდგირიძე: „საფრანგეთის შუამავლობით რუსეთთან ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სამხედრო-პოლიტიკურ ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან

***— ბატონო გიორგი, ერთ პერიოდში საქართველოს პოლიტიკური სპექტრი შეაშფოთა საფრანგეთის გადაწყვეტილებამ რუსეთისთვის მისტრალის მიყიდვის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით გარკვეული უარყოფითი რეაქციებიც იყო — ჩვენმა მეგობარმა საფრანგეთმა როგორ გვიღალატა და ჩვენს მტერს რუსეთს ისეთ იარაღს აძლევს, რომელმაც შეიძლება ჩვენი მდგომარეობა გააუარესოსო. წინა კვირის განმავლობაში კი ვისმენდით რეკლამებს, რომ საფრანგეთია ჩვენი გადამრჩენი. ამ საკითხებისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

— ერთია, საინფორმაციო ველში როგორ იქცევა ესა თუ ის პარტია და ჯგუფი, რომელიც ცდილობს, გარკვეული მოვლენები თავის სასარგებლოდ, თავისი პიარისთვის გამოიყენოს, ხოლო მეორეა, ამა თუ იმ მოვლენაზე ობიექტური მსჯელობა. თავისთავად, მისტრალის მიყიდვა იყო პრობლემა, ანუ ევროპული პრინციპების დარღვევა. კონფლიქტში მყოფ ერთ-ერთ მხარეს ევროპულმა სახელმწიფომ, საფრანგეთმა მიაწოდა საბრძოლო საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორე მხარის წინააღმდეგ და შეიძლება ერთ-ერთ მხარეს დიდი უპირატესობა შეუქმნას. თუმცა, თუ ამ საკითხს სამხედრო თვალსაზრისით განვიხილავთ, თვითონ მისტრალი რუსეთს ძალიან არ აძლიერებს. საქართველოს ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, ეს მოვლენა გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქართველი პოლიტიკოსების მხიდან. საფრანგეთისთვის უნდა მოეთხოვათ ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა, ანუ საქართველოსთვისაც გარკვეული ტიპის სამხედრო დახმარების გაწევა. საფრანგეთი სამხედრო დახმარებას ისედაც გვიწევს, მაგრამ ამ შემთხვევაში სამხედრო დახმარებაში იგულისხმება შეიარაღების გარკვეული ტიპების მოწოდება თავდაცვისთვის, რომელიც გამოადგებოდა საქართველოს.

***— შეიძლებოდა საფრაგეთს იარაღი მოეწოდებინა?***

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართებოდა მოლაპარაკებები. თუ აქცენტს ვაკეთებთ წარმატებულ საგარეო პოლიტიკაზე, საქართველოს ხელისუფლებას და ქართულ საგარეო უწყებას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, საფრანგეთისთვის ეს ნაბიჯი გადმოედგმევინებინა.

***—საქართველოს ხელისუფლების ასეთი მოქმედება საფრანგეთის მხრიდან რუსეთისთვის მისტრალის გადაცემას ხომ არ შეაჩერებდა?***

— არა. ევროპული პოლიტიკის თამაშის წესებით საფრანგეთს ნებისმიერ ქვეყანასთან თანამშრომლობა შეუძლია. ასეთ შემთხვევაში რუსეთს შეეძლო შეშფოთების გამოხატვა. მისტრალი იმდენად მნიშვნელოვანი პროექტი იყო იმ პერიოდის მედვედევისთვის, რომ არა მგონია შეჩერებულიყო მისი გადაცემა და არც არის მნიშვნელოვანი. საბოლოო ჯამში, ეს საკმაოდ ხანგრძლივი რაღაც პროცესია, რომელიც რუსეთის სამხედრო პრობლემებს ვერანაირად ვერ გადაჭრის, ისე როგორც საქართველოს დამატებით პრობლემებს ვერანაირად ვერ შეუქმნის. ჯერჯერობით, არ ჩანს ის ნიშნები, რომ მისტრალი გამოყენებული იქნება შავ ზღვაში, ან შავ ზღვაში დაიდებს ბინას. სარკოზის ვიზიტი საკმაოდ გაპიარდა, რაც ჩვეულებრივი პოლიტიკური ილეთია. გათვლილი იყო ზოგადად მოსახლეობის განწყობაზე. გარდა პოლიტიკური ვიზიტისა, მნიშვნელოვანი ვიზიტია, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორი ქვეყნის დაახლოებას, არამედ საქართველოს პრობლემატიკის საფრანგეთის სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას. ეს არ იყო მხოლოდ მეგობრული ვიზიტი. ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები იკვეთება, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები შეიძლება დაიწყოს კავკასიიდან და კონკრეტულად კავკასიაში. ნებისმიერი მოვლენის ეპიცენტრში არის საქართველოც. შესაბამისად, ქვეყნები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ იყვნენ პოლიტიკის წამმართველები ევროპასა და, საერთოდ, მსოფლიოში, მათთვის საქართველოსთან კონტაქტები მნიშვნელოვანია.

***— რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს კავკასიაში?***

— დააკვირდით, წინა კვირაში მოხდა ინციდენტი აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირებისა საზღვარზე. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ორი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა სომხეთის მხრიდან თავდასხმის შედეგად. შესაბამისად, ძალიან დიდია ალბათობა და რისკები, რომ კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გადაიზარდოს საბრძოლო მოქმედებებში. მათ შორის კონფლიქტი საქმაოდ მწვავეა, მაგრამ დაკონსერვებულია და, ჯერჯერობით, მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირებაა. თუ შეიარაღებული კონფლიქტი განახლდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში ჩაერთვებიან რუსეთი, თურქეთი და შესაბამისად, მთელი მსოფლიოც. ამ კონფლიქტში თურქეთს გარკვეული ვალდებულებები აქვს აზერბაიჯანთან. თურქეთის დღევანდელ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი პროექტები აქვს და მისთვის მნიშვნელოვანია თურქეთის მოსახლეობის განწყობები. ის ვერ გაატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც არ იქნება პოპულარული თურქეთში. ამიტომ ვალდებული და იძულებული იქნება, იმოქმედოს არა მხოლოდ, დავუშვათ, თავისი სტრატეგიული გეგმების მიხედვით, არამედ ამ განწყობებიდან გამომდინარე აქტიურად დაეხმაროს აზერბაიჯანს. რუსეთისთვის, მისი ყველა ახალი პროექტისთვისა და მისი დღევანდელი პოლიტიკური ელიტისთვის მნიშვნელოვანია კავკასიაში გავლენის შენარჩუნება. სომხეთის გარეშე ეს გავლენა, ფაქტობრივად, არ იარსებებს, ანუ თუ რუსეთი დაკარგავს გავლენას სომხეთზე, დაკარგავს სომხეთს, როგორც მეკავშირეს. შესაბამისად, რუსეთი იძულებული



იქნება გავიდეს სამხრეთ კავკასიიდან. ავტომატურ რეჟიმში ის იწყებს ჩრდილოეთ კავკასიის დაკარგვასაც. ამიტომ რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სომხეთთან სახმელეთო კავშირი ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში მათი კავშირი მყიფე გამოვა და სომხეთზე მისი დახმარება არაეფექტური იქნება. შესაბამისად, იგი ამ პროცესებზე გავლენას ვერ მოახდენს. ფაქტობრივად, აღმოჩნდება, რომ აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობა (ეს იქნება ომი თუ მოლაპარაკებები) მთლიანად გადავა დასავლეთის, კონკრეტულად კი, ალბათ, ამერიკის ხელში. ასეთ შემთხვევაში რუსეთისთვის ძალიან მნიშვლელოვანი იქნება საქართველოს ტერიტორიის ფლობა, ანუ ეს არ იქნება ოკუპაცია იმიტომ, რომ ვიღაცას, ვთქვათ, საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდა, არამედ ეს იქნება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრით გამოწვეული საჭირო ნაბიჯები.

***— რუსეთის მხრიდან...***

— დიახ, ანუ როცა შენ ამა თუ იმ ოპერაციას ან სამხედრო მოქმედებას ითვლი არა იმის მიხედვით, რამდენად ძვირი ღირს, არამედ ნებისმიერ ფასს იხდი მოცემული პოზიციის შესანარჩუნებლად.

***— ე.ი. ჩვენთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანისა და სომხეთის მოლაპარაკება და შეთანხმება.***

— მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, აღარ მიმდინარეობს. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოსალოდნელი კრიზისის პერიოდისთვის ჩვენი სახელმწიფო იმდენად ძლიერი იყოს, რომ ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა შეძლოს. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, ერთ-ერთის მხარე უნდა დავიკავოთ, ან არ უნდა დავიკავოთ — ორივე პოლიტიკა მისაღებია. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა უნდა იყოს გონივრული, გათვლილი და ლოგიკური, რომ ერთის მხრივ, დავუპირიპირდეთ რუსეთს, არ მივცეთ გასასვლელი, ხოლო მეორეს მხრივ, არ მოვითხოვოთ იარაღი იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებიც დაინტერესებული არიან, კავკასიაში ბალანის შენარჩუნებით. ახლა ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ აქტიურად; ერთის მხრივ, უნდა გავაგრძელოთ შეიარაღებული ძალების მშენებლობა და ისე მოვაწყოთ თავდაცვის პოლიტიკა და ის ადამიანები გვყავდეს, რომლებიც შეძლებენ თავდაცვის პოლიტიკის საგარეო პოლიტიკის აქტიურ წარმართვას. უნდა დაარწმუნონ ადამიანები, რომ საქართველო იარაღს მოიხმარს და არ დაკარგავს; საქართველოს შეიარაღებული ძალები არის განვითარების რეჟიმში; მას სჭირდება შეიარაღება და ტექნიკა იმისთვის, რომ ამიერკავკასიაში ბალანსი შენარჩუნდეს.

***— კოდორის შემდეგ ცოტა ძნელია ქართველებისა და პარტნიორების დაჯერება. ხეობაში იმდენი იარაღი რომ დატოვეს...***

— ჩვენ არც ის კოდორის ამბავი შეგვისწავლია კარგად და მხოლოდ ემოციების ტყვეობაში ვართ. როცა ტერიტორიებს კარგავ, მოსახლეობაში ემოციები ჭარბობს. როცა ხელისუფლება შეიცვლება, როდესაც პოლიტიკური ინტერესი აღარ იქნება, შემდეგ ჩვენ დავსხდებით და უფრო რეალურად შევხედავთ ყველაფერს, რა იყო შეცდომა და რა იყო გულგრილობა. ახლა ემოციის ტყვეობაში ვიმყოფებით.

***— ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ კოდორში იარაღის დატოვებაზე, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაიტანა და შემდეგ ამაზე კადრებიც გაავრცელა.***

— ძალიან ცუდი კადრებია, მაგრამ იარაღის დატოვება და მტრის მიერ მისი გატანა, დამატებითი რამ არის. ჯერ მოხდა კოდორის დატოვება. იარაღის გამოტანა რატომ ვერ შეძლეს, ამაზე პასუხები გვაინტერესებს და გვჭირდება, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც იქ იყვნენ, რაღაც გამამართლებელი საბუთებიც ექნებათ. ამიტომ ძალიან მკაცრებიც ნუ ვიქნებით. თუმცა, გეთანხმებით, შეიარაღებული ძალების მაშინდელმა ხელმძღვანელობამ პასუხი უნდა აგოს, იარაღი რომ დაიკარგა. ნებისმიერ საბრძოლო მასალის გამოტანა ან განადგურება ავტომატურ რეჟიმში უნდა ხდებოდეს.

***— აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი გარდაუვალია? რამდენადაც გახმოვანდა ნიკოლა სარკოზის სწორედ ამ საკითხებზე ჰქონდა მოლაპარაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებთან. ამ მოლაპარაკებებმა გავლენა ვერ მოახდინა და წინასაომარი სიტუაცია ვერ განტვირთა?***

— მოლაპარაკებები გავლენას ვერც მოახდენს. სანამ რუსეთი იარსებებს, მანამ წარმოუდგენელია რაიმე წარმატების მიღწევა. ახლა იმ სახელმწიფოების ყურადღება, რომლებიც ნათლად ხედავენ პრობლემებს, მიმართულია იქით, რომ ბალანსი შენარჩუნდეს. ბალანსის შენარჩუნება აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ პოლიტიკოსების კეთილ ნებაზე. ხშირ შემთხვევაში ომი იწყება არა იმიტომ, რომ ვიღაც პოლიტიკოსს ომი უნდა, არამედ ისეთი ობიექტური რეალობა იქმნება, როცა კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალია. ახლა სწორედ ასეთი რამ არის.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ლაღიძეს ივანიშვილთან კითხვები გაუჩნდა

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— უახლოესი დღეების პოლიტიკური ვითარება ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის გარშემო ტრიალებს. მისმა განცხადებებმა პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია, თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესებს?***

— მე ბიძინა ივანიშვილს ვიცნობ, როგორც ბიზნესმენს, ქველმოქმედ ადამიანს, რომელსაც არაერთი კარგი საქმე აქვს საქართველოში გაკეთებული. რაცYყველაზე მნიშვნელოვანია, მან დიდი წვლილი შეიტანა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში. Mმაგრამ, სხვა საქმეა, როდესაც ბიძინა ივანიშვილზე საუბრობ, როგორც პოლიტიკოსზე. ამ თემაზე ბევრი არაფრის თქმა არ შემიძლია. მას ჯერ პოლიტიკური პარტიაც კი არ ჩამოუყალიბებია, მე არ ვიცი მისი პოლიტიკური ხედვები, მისი მიზნები და გეგმები, რა მოსაზრებები გააჩნია დღევანდელ რეალობასთან დაკავშირებით. ასე რომ, ამ ეტაპზე მისი ეს ნაბიჯი ვერ შეფასდება ისე, როგორც საჭიროა. Mმაგრამ აქ არის ერთი საინტერესო მომენტი — ბატონმა ბიძინამ ძალიან არაორდინარულად დაიწყო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა. სიმართლე გითხრათ, ამ თვალ-



საზრისით მის პოლიტიკაში შემოჭრას ნამდვილად არ ველოდი. ყველამ კარგად იცის და მათ შორის ამ ხელისუფლებამაც, რომ ივანიშვილს, როგორც ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი გააჩნია და, თუ პოლიტიკურად სწორ სვლებს გააკეთებს, თავისთავად მას საზოგადოების მხრიდან საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ექნება. თუ გადავხედავთ ამ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს, ეს ადამიანი თავისი პრესსამსახურის მეშვეობით ავრცელებს ძალიან ორაზროვან განცხადებებს და, სიმართლე გითხრათ, ამ ადამიანს საკმაოდ ბევრ რამეში ვეთანხმები, თუნდაც იმაში, რომ ქვეყანაში არის ფსევდოოპოზიცია. ხშირ შემთხვევაში ბევრი ექსპერტის შეფასებებიც არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს და არის ძალიან ტენდენციური, რაც ყველაზე ცუდია, ქვეყანაში არსებობს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია საშუალებები. Mმაგრამ, თუ ივანიშვილს პრეტენზია აქვს, მოვიდეს ქართულ პოლიტიკაში, მე ვფიქრობ, მისი ეს სვლები წამგებიანია. საერთო ჯამში, მე ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მივესალმები. თუ ეს ადამიანი სწორი მიმართულებით წავიდა, მე ვთვლი, რომ მას კონკურენტი არ ეყოლება, თუმცა, მის პირველივე ნაბიჯებს ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი მოჰყვა.

***— ეს კითხვის ნიშნებია თუ შეცდომები?***

— მისი ბოლო განცხადებები პოლიტიკური მოღვაწისთვის შეცდომაა.

***— თქვენ ახსენეთ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა და ივანიშვილის წვლილი ამ საქმეში. იმოქმედებს თუ არა მართლმადიდებელი მრევლის კეთილგანწყობა მის პოლიტიკურ კარიერაზე?***

— ძალიან ბევრი ადამიანისგან, მათ შორის, სასულიერო პირებისგან მსმენია, რომ ქართული ეკლესია მადლიერია ბიძინა ივანიშვილის, მისი ღვაწლის. ამ ადამიანმა მართლაც ძალიან ბევრი კარგი გააკეთა ჩვენი ეკლესიისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე პოლიტიკასთან. შეიძლება ადამიანი იყო კარგი ბიზნესმენი, მაგრამ ვერ იყო კარგი პოლიტიკოსი. მე ივანიშვილის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა გამიჩნდა.

***— კონკრეტულად რა კითხვა გაგიჩნდათ?***

— არ მინდა ვიფიქრო ის, რომ საქმე გვაქვს სულ სხვა პოლიტიკურ თამაშთან, რასაც შეიძლება მოჰყვეს ქართველი საზოგადოების კიდევ ერთი იმედგაცრუება. Mმე ვფიქრობ, რომ ამ ფორმით მისი ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა შეცდომაა. მან გააკრიტიკა მედია, ექსპერტები, ოპოზიცია, თუმცა ამოარჩია რამდენიმე ოპოზიციური პარტია, რომელთანაც თანამშრომლობას აპირებს. სააკაშვილი და მისი რეჟიმი რომ უნდა დასრულდეს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ქართველი საზოგადოების გააქტიურება, მაგრამ, ვინ ჩაუდგება ამ ყველაფერს სათავეში, ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს. Pპოლიტიკოსები ვწერთ უახლეს ისტორიას და ჩვენი მომავალი თაობა შეცდომებს არ გვაპატიებს. Mმე არ მინდა, რომ ეს პოლიტიკური პროცესები საზოგადოების კიდევ ერთი იმედგაცრუების დასაწყისი აღმოჩნდეს და მითი მიშას უძლეველობაზე რეალობასთან გაიგივდეს.

***— ხელისუფლების ერთადერთი ხელჩასაჭიდი ისაა, რომ ივანიშვილს ბიზნესი რუსეთში აქვს. თქვენ თუ ხედავთ პრობლემას?***

— პრობლემა ბიზნესში კი არა, რუსეთშია. ეს ქვეყანა ჩვენ მიმართ მტრულად არის განწყობილი და ამ დროს რომ იქ ივანიშვილის ბიზნესი უსაფრთხოდაა, ამ შემთხვევაში მის მიმართ კითხვები თავისთავად ჩნდება.

***— მე მგონი, უფრო საფუძვლიანი კითხვები მაშინ უნდა გაჩენილიყო, როცა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსების ხელში გადადიოდა.***

— მე არ მითქვამს, რომ ეს ხელისუფლება კარგია. მას არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე. ამ ხელისუფლების კისერზეა დაკარგული ტერიტორიები, უამრავი დანაშაული და ამაზე პასუხი აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას. მე ვამბობ, რომ ქართულ სინამდვილეში გაჩნდა ძალა, რომელსაც გააჩნია რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ქვეყანაში სასიკეთოდ შეცვალოს რაღაც, მაგრამ არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ საზოგადოებამ კიდევ ერთი იმედგაცრუება მიიღოს. საქართველოს უნდა უკეთესი ლიდერი, უკეთესი მომავალი და ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან მას შემდეგ, რაც აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. Aაქედან გამომდინარე, ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს დღეს ქართულ პოლიტიკაში, უნდა შევაფასოთ სწორად და ქართველ საზოგადოებას მივაწოდოთ ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. Aაქედან გამომდინარე, ის ინფორმაციები, რომლებიც დღეისათვის ვრცელდება, ჯერჯერობით კითხვის ნიშნებით არის დახუნძლული და მეტი არაფერი. ივანიშვილის, როგორც ბიზნესმენისა და ქველმოქმედის მიმართ გამაჩნია უდიდესი სიმპათიები, მაგრამ პოლიტიკა სულ სხვა რამ არის. მის მიმართ საზოგადოების ნდობა და სიმპათიები ძალიან დიდია და მას შეცდომების დაშვების უფლება, უბრალოდ, არ აქვს.

# ელისო ბოლქვაძე რუსთაველის თეატრში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

**მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ბათუმის შემდეგ კონცერტს უკვე თბილისში გამართავს და 15 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში დაუკრავს. სიმფონიური მუსიკის კონცერტში მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. კლასიკური მუსიკის მოყვარულთა წინაშე წარსდგებიან მსოფლიო დონის მუსიკოსები — ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე და ამერიკელი დირიჟორი ფილიპ მანი, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს წარუძღვება. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე, ფილიპ მანი და ელისო ბოლქვაძე თბილისში ჩამოვიდნენ და ორკესტრთან ერთად რეპეტიციები გაიარეს.**




ელისო ბოლქვაძე დღესაც აქტიურად მართავს კონცერტებს მსოფლიოს წამყვან ორკესტრებთან ერთად ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. იგი ლიტერატორთა ოჯახში დაიბადა, პირველი კონცერტი 7 წლის ასაკში გამართა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რასაც მალე მრავალ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება და აღიარება მოჰყვა. პიანისტი თბილისის ნიჭიერთა ათწლედში პედაგოგ მაია წულუკიძესთან სწავლობდა, პროფესია კი თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის ხელმძღვანელობით აიმაღლა. ელისო ბოლქვაძე ესწრებოდა ტატიანა ნიკოლაევას მასტერკლასებს მოსკოვში. პიანისტის შემოქმედების ბოლო წლები ავსტრიასა და საფრანგეთში, უკავშირდება ცნობილ მუსიკოსს და პედაგოგს მიშელ სონის, რომელთანაც ელისო ასევე თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდის „სოს ტალენტის“ პროექტში. ქართველი პიანისტი მრავალი ცნობილი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მას მიღებული აქვს სპეციალური პრიზი ფრანგული მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის. ელისო ბოლქვაძე დაჯილდოებულია საქართველოს სახელმწიფო პრემიით და სპეციალური პრემიით "ქართული კულტურის ამაგდარი".

— ქართველი პიანისტის შემოქმედება ყოველთვის იწვევს საერთაშორისო პრესის დიდ ინტერესს. კრიტიკოსები აღნიშნავენ მის უნიკალურ ბგერას, უდიდეს შემოქმედებით ენერგიას და ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებას. ელისო ბოლქვაძე კონცერტებს მართავს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ დარბაზებში ვაშინგტონში, ლოს ანჟელესში, ფლორიდაში, პარიზში, მიუნხენში, იტალიაში, რუსეთში, ფრანკფურტში. ქართველი პიანისტი თანამშრომლობს ლაიფციგის, საფრანგეთის რადიოს, სანკტპეტერბურგის ფილარმონიულ, ფილნიუსის ეროვნულ, უკრაინის ეროვნულ ფილარმონიულ ორკესტრებთან, ამიტომ მისი კონცერტის მოსმენა რუსთაველის თეატრში, ნებისმიერ მელომანისთვის დიდი საჩუქარია, — აღნიშნავს ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი.

ქართველი პიანისტი აქტიურად თანამშრომლობდა და დღესაც თანამშრომლობს ისეთ ცნობილ დირიჟორებთან, როგორებიც არიან პიტერ ალტრიხტერი, საულიუს სონდეკისი, ჯანსულ კახიძე, მიშელ ტაბაჩნიკი, სტანისლავ სკროვაჩევსკი, ლორან პეტიჟირარდი, მიჰკელ კატსონი, მიკოლა დიადიურა. საფრანგეთის ეროვნულმა ტელევიზიამ აჩვენა დოკუმენტური ფილმი ელისო ბოლქვაძის შესახებ. ფრანგული მუსიკალური არხი "მეცო" რეგულარულად გადასცემს ელისო ბოლქვაძის კონცერტებს მთელს ევროპაში. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში პიანისტს ჩაწერილი აქვს მრავალი კომპაქტ-დისკი, რომელთაც საერთაშორისო ჟურნალისტების დიდი გამოხმაურება ხვდა წილად. გასულ წელს ელისო ბოლქვაძე მონაწილეობდა ლიუბლიანას რაველის ფესტივალში (იტალია), სოფიას საერთაშორისო ფესტივალში, გამართა კონცერტები კოლონის ორკესტრთან პლეიელისა და გავოს დარბაზებში (პარიზი, საფრანგეთი), ვილნიუსის ფილარმონიულ ორკესტრთან, მონაწილეობა მიიღო ინსბრუკის სიმფონიურ ორკესტრის საკონცერტო სეზონის გახსნაში.

15 ოქტომბერს დაგეგმილ კონცერტში მონაწილე ამერიკელი დირიჟორი ფილიპ მანი ბიბისიმ აღიარა ტალანტად, რომელიც შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში იმყოფება.

— და მართლაც, ფილიპ მანი სწრაფად იძენს გრაციოზული და ვნებებით აღსავსე არტისტის რეპუტაციას ერთდროულად სამ კონტინენტზე. როუდსის სტიპენდიანტი ფილიპ მანი სწავლობდა ოქსფორდში, სადაც მან გაიმარჯვა ყოველწლიურ კონკურსში და გახდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ფილარმონიული ორკესტრის მთავარი დირიჟორი. შემდეგ დახელოვნება გააგრძელა ალან ჰეიზელდინთან ლონდონის გილდჰოლის მუსიკისა და დრამის სასწავლებელში, კოლინ მითერსთან მუსიკის სამეფო აკადემიაში და მარიოს პაპადოპულოსთან ოქსფორდის "ფილომუსიკაში". მუშაობდა ლეონარდ სლატკინთან და კენედის ცენტრის ეროვნული სადირიჟორო ინსტიტუტის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან, ასევე მაიკლ თილსონ თომასთან და ახალი მსოფლიოს სიმფონიურ ორკესტრთან. ფილიპ მანმა სწავლა გააგრძელა იზა პეკა სალონენთან და ჯორმა პანულასთან, სადირიჟორო მასტერკლასები გაიარა ლოს ანჯელესის ფილარმონიულ ორკესტრთან, აგრეთვე ატლანტის სიმფონიური ორკესტრის მიერ გამართულ მოცარტის "რეკვიემის" საერთაშორისო მასტერ-კლასში რობერტ სპანოს ხელმძღვანელობით. შემდგომი სტაჟირება გაიარა იმრე პალოსთან, დევიდ ეფრონთან, კონ პულთან და თომას ბოლდნერთან ინდიანას უნივერსიტეტში, სადაც მოგვიანებით უკვე თავად ასწავლიდა სადირიჟორო ოსტატობას და მუშაობდა ინდიანას უნივერსიტეტის საოპერო თეატრის დირიჟორად. მანმა სტაჟირება გაიარა მოსკოვის დიდ თეატრსა და სახელმწიფო კონსერვატორიაში ალექსანდრ ვედერნიკოვთან, ასევე გუსტავ მაიერთან, კენით კისლერთან და პულიცერის პრემიის ლაურეატ კომპოზიტორ რობერტ უარდთან. სხვადასხვა წლებში იგი თანამშრომლობდა კლივლენდის და ინდიანაპოლისის სიმფონიურ ორკესტრებთან, იყო "ოქსფორდ სითი ოპერას" და "ოქსფორდ პრო მიუზიქ"-ის კამერული ორკესტრების მუსიკალური ხელმძღვანელი, — განაცხადა ზურაბ ოიკაშვილმა.

ამჟამად ამერიკელი მაესტრო სან დიეგოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და არკანზასის სიმფონიური ორკესტრის მუსიკალური დირექტორია. არკანზასის ორკესტრთან ერთად გამართული აქვს 200-ზე მეტი კონცერტი. 2011 წელს შედგა დირიჟორის დებიუტი კვიპროსის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან, კანადური დებიუტი კი კვებეკის სიმფონიურ ორკესტრთან. ფილიპ მანი დირიჟორობს კონცერტებს ნიუ იორკის "ეივერი ფიშერ ჰოლ"-ში და ლონდონის ბარბიქენ ცენტრში. ფილიპ მანი თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ცნობილ არტისტებთან ჯოშუა ბელი, შერონ ისბინი, მარვინ ჰემლიში. ფილიპ მანის რეპერტუარი მოიცავს როგორც სიმფონიურ, ისე საოპერო ნაწარმოებებს, ხშირად მის სახელს უკავშირდება ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებების მსოფლიო პრემიერებიც. ფილიპ მანს მოპოვებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია, მათ შორის ვენის ფილარმონიის კარაიანის სახელობის სტიპენდია ზალცბურგის ფესტივალზე.

რუსთაველის თეატრში შეკრებილი მსმენელი ვარსკვლავური შესრულებით მოისმენენ კამილ სენ-სანსის მეორე საფორტეპიანო კონცერტს, ჟორჟ ბიზეს სიუიტას ოპერიდან "კარმენი" და ლეონარდ ბერნსტაინის სიმფონიურ ცეკვებს მიუზიკლიდან „ვესტ საიდის ისტორია".

— ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების უმაღლესი საშემსრულებლო დონე 15 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში შეკრებილი მსმენელებისთვის დაუვიწყარი სიამოვნების მინიჭების საფუძველს ნამდვილად ქმნის, — აღნიშნავს ზურაბ ოიკაშვილი.

ელისო ბოლქვაძისა და ფილიპ მანის მიერ გამართულ სიმფონიური მუსიკის კონცერტზე დასწრების მსურველებს ბილეთში 10-დან 40 ლარის გადახდა მოუწევთ.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● მუხრან-თელეთში 2-სართულიანი, 275კვ.მ ფართის სახლი, თეთრი კარკასით, მონტერეის გადახურვით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით, საკუთარი წყლით და ბუნებრივი აირით. თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62, 577-42-41-22. გიორგი.

● ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხძაფიანი, ფასი: 539 ლარი. საკერავი მანქანა, გერმანული, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი: 419 ლარი. ტელ: 790-75-45-78. ზურა.

## განცხადებები

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# იოახიმ ლიოვი: „ევროპის ჩემპიონობა გვინდა!“

**გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იდეალურად ჩაატარა — 10 მოგება 10 მატჩში და თანაც შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა.**

**საერთოდ, გერმანიის ნაკრების ბოლოდროინდელ პროგრესს მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს უკავშირებენ, რომელიც, უახლესი გამოკითხვის თანახმად, გერმანელებს უკვე ყველა დროის საუკეთესო ბუნდესმწვრთნელად მიაჩნიათ.**

**მიუხედავად ბრწყინვალე შედეგებისა, ლიოვს მაინც აქვს ერთი ნაკლი: მის ხელში გერმანიას ტიტული ჯერ არ მოუგია და ამ ნაკლის აღმოფხვრას სწორედ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე შეეცდება.**

**ბელგიასთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიოვმა საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა.**

***— როგორ შეაფასებთ ბელგიასთან მატჩს და მთლიანად ბუნდესგუნდის გამოსვლას შესარჩევ ციკლში?***

— 10 თამაში, 10 მოგება — მეტი რა უნდა გვინდოდეს? საკმაოდ რთული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძალები მოვიკრიბეთ და ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლშიც დავამტკიცეთ, რომ ბუნდესგუნდი თვიდან თვემდე პროგრესირებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაში ორი ტურით ადრე გავინაღდეთ, ბოლო მატჩებიც მაქსიმალური კონცენტრაციით ჩავატარეთ. გუნდი თითოეული გამარჯვებით ხომ უფრო მეტ პატივისცემას იხვეჭს და ჩვენთვის ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყველამ დაინახა, რომ გერმანიის ნაკრები მაშინაც არ მოდუნდება, როცა წარმატება გარანტირებული აქვს. მე მყავს გუნდი, რომელიც ძალიან ძლიერი და მაგრად დამშეულია. ჩემი გუნდი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

***— გაგიკვირდათ, ბელგიამ თამაში ასე კარგად რომ დაიწყო?***

— მათ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ და, შესაბამისად, დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. მეტოქემ თავიდანვე ვაჟკაცურად შემოგვიტია და სწრაფი გოლის გატანა უნდოდათ. აქედან გამომდინარე, პირველ წუთებში ცოტათი შოკირებული ვჩანდით, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა და გოლებიც გავიტანეთ. პირადად მე ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ამ თამაშსაც მოვიგებდით. ბელგიას კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ, არა იმდენად კარგი, რომ ჩვენთან მოეგოთ.

***— როგორია თქვენი დასკვნა შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ და დარჩა თუ არა რამე, რაც კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოთ?***

— სამუშაოს მეტი რა არის. ჯერ ერთი, ყველაფერს გამეორება უნდა, რათა არაფერი დაგავიწყდეს და თითოეული მოქმედება ავტომატურ დონემდე უნდა იყოს დაყვანილი. ესეც რომ არ იყოს, რაც არ უნდა კარგად თამაშობდეს გუნდი, პრობლემები ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს. თუმცა, დაგეთანხმებით იმაში, რომ ერთი შეხედვით გასაუმჯობესებელი ბევრი არაფერია, რადგან გერმანიამ მთელი ციკლი ძალიან კარგად, სტაბილურად ჩაატარა. მიხარია, რომ ბიჭებმა მეორე ტაქტიკური სქემაც კარგად შეისწავლეს და რომ კიდევ უფრო სწრაფ და კრეატიულ ფეხბურთს ვთამაშობთ. ამასთან, ვისურვებდი, რომ ჩვენი დაცვის ხაზი უფრო სტაბილური გახდეს.

***— მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებს წვრთნით, უამრავი ფეხბურთელი გამოცადეთ. საინტერესოა, დაახლოებით რამდენ მოთამაშეს აქვს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი?***

— 25-30 — კონკრეტული რიცხვის დასახელება გამიჭირდება. თუმცა, არსებობს გაფართოებული შემადგენლობა, საიდანაც ნებისმიერ დროს შეიძლება მოთამაშეები ძირითად ბირთვში აღმოჩნდნენ. თუ ყველაფერი სტაბილურად წარიმართება, ევროპის ჩემპიონატის წინ შემადგენლობის შერჩევა გამიადვილდება, მაგრამ, როგორც წესი, სხვადასხვა პრობლემა იჩენს ხოლმე თავს და ბოლოს საუკეთესოების შერჩევა მაინც ჭირს. ჩემი მიზანი ის არის, რომ ყველა პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი მყავდეს და, ვფიქრობ, ამას შევძლებთ. ბოლო დროს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს კარგი შემცვლელები გამოუჩნდათ. რაც მთავარია, გუნდი ახალგაზრდულია — ბელგიასთან ჩვენი შემადგენლობის საშუალო ასაკი 24 წელი იყო. მეც ის მინდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილები მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდეთ.

***— რას ელით ან ითხოვთ ნაკრების ფეხბურთელებისგან უახლოეს თვეებში?***

— პირველ რიგში — კონცენტრაციის შენარჩუნებას. მინდა, რომ ბიჭებმა თავიანთ კლუბებში დიდი მონდომებით ივარჯიშონ და ითამაშონ. ჩვენ არ მოვდუნდებით და ფეხბურთელებს მუდმივად გავაკონტროლებთ. თუ გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონატს მაქსიმალურად კარგად მომზადებულები შევხვდეთ, მზადება აპრილში კი არა, დღეიდანვე უნდა დავიწყოთ.

***— გერმანიის ნაკრებს ყველა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს. გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ტიტულის მოგებას ელის და ითხოვს.***

— ეს ლოგიკურიც არის და, რაც მთავარია, გუნდის დამსახურებაა. თუმცა, ეიფორია და დიდი მოლოდინი უმძიმეს წნეხსაც ნიშნავს, მაგრამ ესეც ნორმალურია. ჩვენი მიზანიც სწორედ ისაა, რომ ამ წნეხს გავუძლოთ. ვიცი, რომ ქომაგებს ახლა მხოლოდ ტიტულით თუ დავაკმაყოფილებთ. ჩვენც ეს გვინდა — ევროპის ჩემპიონობა.

***— შესარჩევ ციკლში ესპანეთის ნაკრებმაც ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა.***

— ძალიან გთხოვთ, ნუ აძლევთ ფესვების გადგმის საშუალებას იმ მოსაზრებას, თითქოს მსოფლიო ფეხბურთს მხოლოდ ჩვენ და ესპანეთი შემოვრჩით. ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგალითად, ჰოლანდიასაც. დარწმუნებული ვარ, რომ ზაფხულში ინგლისის ნაკრებიც გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში იყო. იმავეს ვიტყოდი საფრანგეთზეც და, ცხადია, არც იტალიის ნაკრები უნდა დაგვავიწყდეს. ასე რომ, ევრო 2012-ზე მთავარ როლებში მხოლოდ ჩვენ და ესპანეთი არ ვიქნებით.

# რაგბის კავშირი და მორაგბეები კმაყოფილები არიან

**ბორჯღალოსნებისთვის ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშება ნაადრევად კი დასრულდა, მაგრამ ეს გასაკვირიც არ იყო. გრანდებთან ჯახში ჩვენებს თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ და სარაგბო სამყაროში პოპულარობაც მოიპოვეს. გუნდის დიდი ნაწილი თავიანთ კლუბებს საფრანგეთში დაუბრუნდა, ხოლო მცირე ნაწილი საქართველოშია.**

**აქ მყოფმა რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა და ნაკრების წევრებმა პრესკონფერენცია “შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გამართეს, სადაც ახალზელანდიურ პერიპეტიებზე ისაუბრეს.**



**ლაშა ხურციძე, საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

— დასაწყისშივე მინდა, საქართველოს რაგბის კავშირის პოზიცია დავაფიქსირო — ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების გამოსვლა ძალიან წარმატებული იყო. თავიდანვე ვაცხადებდით, რომ ჩვენი გუნდის მიზანი ახალ ზელანდიაში მინიმუმ ერთი მატჩის მოგება და დანარჩენ შეხვედრებში ღირსეული, კარგი თამაშის ჩვენება იყო. ამ მიზანს გუნდმა მიაღწია. რუმინეთის ნაკრებთან გამარჯვებით ევროპაში მე-7 სარაგბო ერად საბოლოოდ ჩამოვყალიბდით. დანარჩენ მატჩებშიც, ვფიქრობთ, გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვებას იმიტომ ვერ მივაღწიეთ, რომ არ გვეყო მაღალი რანგის გუნდებთან ხშირი თამაშის გამოცდილება. ირბ-ს მაღალჩინოსნებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ჩვენი ადგილი ერთა თასზე აღარ არის და საჭიროა რანგით უფრო მაღალი დონის გუნდებთან ერთად ვითამაშოთ. თუ ასე გავაგრძელეთ განვითარება, მომდევნო მსოფლიოს თასის გათამაშებაში ყველა მატჩში მოსაგებად გავალთ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა გავიმეორო, რომ საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში წარმატებულად იასპარეზა. ეს იყო ჩვენი რაგბის მიერ წინგადადგმული ნაბიჯი და გარწმუნებთ, ქართულ რაგბის ძალიან კარგი მომავალი აქვს. მოლაპარაკებები წამყვან სარაგბო ქვეყნებთან მუდმივად მიმდინარეობს. ნაკრების ახალ ზელანდიაში ყოფნის დროსაც ხშირად ვხვდებოდით ირბ-ს ხელმძღვანელებს, მაგალითად, ბრუს კუკს და მარკ იგანს. 25 ოქტომბერს ოქლენდში ირბ-ს კონგრესი გაიმართება, რომელშიც იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც მსოფლიოს თასზე არ ასპარეზობდნენ. სწორედ ამ კონგრესის შემდეგ ცხადი გახდება, რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს შეჯიბრებების სტრუქტურებში. როგორი იქნება თამაშების კალენდარი, როგორ განვავითაროთ ეროვნული და ა ნაკრებები. ჩვენს გუნდებთან თამაშის თაობაზე საკმაოდ ბევრი წინადადება გვაქვს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ახალი ზელანდიიდან და არგენტინიდან. საქართველოს რაგბის კავშირს მიაჩნია, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბის დაკომპლექტებისას. ამ გუნდმა მოკლე დროში შეძლო საკმაოდ ბევრი ცვლილებების განხორციელება. თავად განსაჯეთ, ჯონ მაგლტონმა და დონ კასკიმ “ბორჯღალოსნებთან“ სულ რაღაც შვიდი თვე იმუშავეს, რიჩი დიქსონმა კი — ოდნავ მეტი. ცხადია, მეტი დრო რომ ჰქონოდათ, უკეთესი შედეგი გვექნებოდა. რიჩი დიქსონი საქართველოში რაგბის განვითარების კონსულტანტად ჩამოვიდა. ის საქართველოში დარჩება, მაგრამ, იქნება თუ არა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რაგბის კავშირის პრეზიდენტი ახალ ზელანდიაში იმყოფება და მისი ჩამოსვლის შემდეგ ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ.

**ილია მაისურაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:**

— მთელი მოსამზადებელი პერიოდი ისე გვქონდა დაგეგმილი, რომ პირველი მატჩი შოტლანდიის ნაკრებთან უნდა მოგვეგო. ამისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდით. თუმცა, სხვა თამაშებზეც მოსაგებად გავდიოდით. სამწუხაროდ, შოტლანდიელებთან მატჩში გუნდი რაღაცნაირად შებოჭილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ, იყო ბევრი ხარვეზი ხელით თამაშისას. მეორე შეხვედრაში ინგლისის ნაკრებთან ბიჭები ფსიქოლოგიური ტვირთისგან გათავისუფლდნენ და საკმაოდ კარგი რაგბი ვაჩვენეთ. ერთი ეგ იყო, შეტევიდან დაცვაში სწრაფად გადაწყობას ვერ ვასწრებდით და ამის გამო რამდენიმე ლელო მივიღეთ. რუმინეთთან შეხვედრას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1999 წლიდან მოყოლებული, ჩვენ რუმინელებისთვის არც ერთი მნიშვნელოვანი მატჩი არ მოგვიგია. ამჯერად მსოფლიოს თასზე მთელი მსოფლიოს თვალწინ მათთან ბრძოლა ევროპაში მე-7 გუნდის სტატუსისთვის გვქონდა. პირველ ტაიმში წაგების შიშის გამო ცოტა თამაში არ გამოგვივიდა, თუმცა, მეორე ნახევარში ეს კომპლექსი გუნდმა მოიხსნა და რუმინელებს ყველაფერში ვაჯობეთ, თან ისეთი სხვაობით დავამარცხეთ, რომლითაც აქამდე არასდროს მოგვეგო. თამაშებს შორის ოთხდღიანმა შუალედებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. ბიჭები ძალების აღდგენასა და ტრავმების მოშუშებას ვერ ასწრებდნენ. არგენტინის ნაკრებთან პირველ ტაიმში, მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში რამდენიმე შეცდომა დავუშვით, მაინც კარგად ვითამაშეთ, იქით ლელო გავუტანეთ და ტაიმი 7:5 მოვიგეთ. მეორე ტაიმში კი აშკარად დაგვეტყო დაღლა, რამაც თვალნათლივ დაგვანახვა, რომ საკმარისი რესურსი არ გაგვაჩნდა. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ინგლისი, შოტლანდია და არგენტინა ნაკრების მოთამაშეებს 400-500 მორაგბიდან ირჩევს. ჩვენი შესაძლებლობები კი ბევრად შეზღუდულია. ნაკრების წევრები 45 მორაგბიდან შევარჩიეთ და 30 თანაბარი ძალის მოთამაშის მოძიება არ მოხერხდა.

**ლაშა ხმალაძე, საქართველოს ნაკრების მგეზავი:**

— ეროვნულ ნაკრებში და თანაც მსოფლიოს თასზე პირველად ვითამაშე. ეს ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო. ამ მწვრთნელთა ჯგუფთან პირველად ვიმუშავე. მათგან ბევრი რამ ვისწავლე და შევცვალე ჩემს თამაშში.

**ჯაბა ბრეგვაძე, საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი:**

— ყველა თამაშის მერე ვიდეო ანალიზს ვუყურებდით და ისეთ შეცდომებზე გვითითებდნენ, რომლის გამოსწორების შემდეგაც ხელით თამაში ბევრად უკეთ გამოგვდიოდა. ჩვენი შეტევაც უფრო ორგანიზებული გახდა. მწვრთნელების ფუნქციაც ეს არის და მათ თავინათი მოვალეობა შესანიშნავად შეასრულეს.

# საკალათბურთო სუპერლიგა 15 ოქტომბერს დაიწყება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც სუპერლიგის 2011-2012 წლების სეზონს მიეძღვნა. ჟურნალისტებთან სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი საყუარაშვილმა, სუპერლიგის პრეზიდენტმა გიორგი ზაბახიძემ და საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირის პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა ისაუბრეს. კალათბურთელები ახალ სეზონს 15 ოქტომბერს დაიწყებენ, ჩემპიონობისთვის კი 11 გუნდი იბრძოლებს.

ესენი არაიან — თსუ, სტუ, არმია, სოხუმი, დინამო, ოლიმპი, შსს, თსსუ, ბათუმი, რუსთავი და ქუთაისი. რეგულარული ჩემპიონატი ორ წრედ გაიმართება, რის შემდეგაც 8 საუკეთესო გუნდი საჩემპიონო ბრძოლას პლეი ოფში გააგრძელებს. მეოთხედფინალები ორ მოგებამდე იქნება, ხოლო ნახევარფინალებსა და ფინალში გამარჯვებული სამი მოგებით გამოვლინდება. მესამე ადგილისთვის დაპირისპირება ერთმატჩიანი იქნება, ასევე გათამაშდება 5-8 ადგილები.

სუპერლიგის მატჩები სპორტის სასახლეში გაიმართება, ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის გუნდები კი საშინაო თამაშებს საკუთარ ქალაქებში ჩაატარებენ. სპორტის სასახლეში თამაშზე დასწრება სიმბოლური ფასი, 1 ლარი ეღირება, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა საქართველოს კალათბურთელთა დახმარების ფონდში ჩაირიცხება. გადაწყდა, რომ მუშაობას დაიწყებს საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი, რომლის მთავარი მიზანი მსაჯებისა და მდივნების ახალი კადრების მოძიება, მსაჯებისა და მდივნების მიერ გაწეული საქმიანობის მონიტორინგი და ფიბა-ევროპის შესაბამისი ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება იქნება.

**გიორგი ზაბახიძე:**

— დიდი მადლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რომელიც აქამდეც აქტიურად გვეხმარებოდა და კიდევ უფრო მეტად დაგვიჭერს მხარს. სუპერლიგის დაწყების პარალელურად მუშაობას დაიწყებს საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი, რომელსაც როლანდ ხომერიკი უხელმძღვანელებს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული დარღვევა სათანადოდ გაირჩევა და მასზე დასწრების უფლება ჟურნალისტებსაც ექნებათ.

**ირაკლი სამყურაშვილი:**

— კალათბურთი მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა და დიდი ყურადღებაც ექცევა. საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი სერიოზულ მუშაობას გასწევს და მსაჯთა კორპუსის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ კონტროლზე იზრუნებს. სამინისტროსთან არსებული გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრის ინიციატივით ახალი საკალათბურთო გუნდი “ოლიმპი“ დაარსდა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ჩემპიონატის განვითარებას.

**როლანდ ხომერიკი:**

— ამჟამად საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს 10 არბიტრი და 40-მდე მსაჯმდივანი ემსახურება. 10 არბიტრი ძალიან ცოტაა, ამიტომ ვიწყებთ ახალი კადრების შერჩევას. ვითანამშრომლებთ მწვრთნელებთან, მათ შეუძლიათ, ნაკლებად პერსპექტიული კალათბურთელები ჩვენთან გამოგზავნონ და მსაჯის პროფესიის არჩევა ურჩიონ. ძირითადად სწორედ კალათბურთელების ირგვლივ ვიმუშავებთ. გვაქვს ვიდეო მასალა, რომელსაც გამოვიყენებთ. გარდა ამისა, ფიბა-ს სტანდარტებით წელიწადში ორჯერ ფიზიკურ ტესტს ჩავატარებთ, რათა თამაშებს ყოველმხრივ მომზადებულები შეხვდნენ.

# მენოტი არგენტინას აკრიტიკებს

არგენტინის ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი დიდებულად ჩაატარა და 4:1 იმარჯვა, მაგრამ შემდეგ ვენესუელის სუსტ გუნდთან დამარცხდა. ამის შემდეგ ალბისელესტეს ყოფილმა თავკაცმა სესარ ლუის მენოტიმ ეროვნული გუნდი მკაცრად გააკრიტიკა.

— თუ ასე გავაგრძელებთ, ბევრი მტკივნეული დარტყმის მიღება მოგვიხდება. მოდით, გამართლების ძებნას შევეშვათ და ვაღიაროთ, რომ არგენტინას ძლიერი ნაკრები არ ჰყავს. იმისთვის, რომ ძლიერი გუნდი გყავდეს, ძლიერი მწვრთნელია საჭირო. იმაზე ფიქრი, რომ ნებისმიერ ფასად უნდა მოიგო, სისულელეა. ჩილესთან მოგებით თავის მოტყუებაც არ ღირს — გუნდს კარგად მაშინაც არ უთამაშია. მოდით, შევეშვათ სიცხესა და სხვა მიზეზებზე საუბარს. არგენტინის ნაკრებში ისეთი ძლიერი მოთამაშეები არიან, როგორიც მესი, დი მარია და იგუაინია, მაგრამ გუნდი ძლიერი არ არის, — განაცხადა მენოტიმ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-ნუმანსია | 2:1 |
| ანდორა-სან როკე | 1:3 |
| კორდობა-უესკა | 1:1(3:2პ) |
| მორანდესი-ლოგრონიესი | 3:1 |
| ორიუელა-კადისი | 1:3 |
| ალბასეტე-ალავესი | 1:0 |
| ლიაგოსტერა-ოსპიტალეტი | 0:1 |
| ალმერია-ელჩე | 1:0 |
| ეიბარი-პონფერადინა | 0:1 |
| დეპორტივო-ალკოიანო | 2:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ვანკუვერი-ვაშინგტონი | 2:1 |
| ჩიკაგო-დალასი | 1:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ავაი-ატლეტიკო(გ) | 2:2 |
| ამერიკა-სეარა | 4:1 |
| გრემიო-ფიგუირენსე | 1:3 |
| სან პაულუ-ინტერნასიონალი | 0:0 |
| ბაია-კრუზეირო | 0:0 |
| კორინთაინსი-ბოტაფოგო | 0:2 |
| ფლამენგო-პალმეირასი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. შანხაი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| როდიკი-ალმაგრო | 6:3;6:4 |
| დოლგოპოლოვი-ტომიჩი | 5:7;6:1;6:0 |
| ფერერი-ფერერო | 1:6;7:5;6:2 |
| ნიშიკორი-ჰირალდო | 7:6;4:6;6:3 |
| მიურეი-ვავრინკა | 6:4;3:6;6:3 |

**ვტა. ლინცი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ლისიცკი-ბრიანტი | 5:7;6:4;3:6 |
| პენეტა-ვესნინა | 7:6;6:2 |
| ჰანტუჩოვა-მარტიჩი | 6:3;6:7;6:1 |
| ზაჰლავოვა-როდიონოვა!ან. | 6:7;1:6 |
| პავლუჩენკოვა-კირსტეა | 6:4;0:6;4:6 |
| გერგესი-როდინა | 3;6;4;6 |

**ვტა. ოსაკა. ჰარდი**

| | |
|---|---|
| მორიტა-დანილიდუ | 6:2;6:3 |
| სჰეპერსი-შვედოვა | 4:6;6:3;7:6 |
| სტოსური-დოი | 6:2;6:4 |
| ბარტოლი-კინგი | 6:1;6:2 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-კოლორადო | 2:2(0:1ბ) |
| კაროლინა-ბოსტონი | 3:2 |
| ფილადელფია-ვანკუვერი | 5:4 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლადო ათანელი „ქეთო და კოტეში“ აღარ იმღერებს

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილი ბარიტონი ლადო ათანელი დავით დოიაშვილის მიერ გათანამედროვებულ “ქეთო და კოტეში“ აღარ იმღერებს. იგი წარმოდგენაში თავადი ლევანის როლს ასრულებდა. ბარიტონმა ბათუმური პრემიერების შემდეგ, სპექტაკლის თბილისურ პრემიერაშიც მიიღო მონაწილეობა და განაცხადა, რომ ამიერიდან წარმოდგენაში აღარ იმღერებს.

საოპერო მომღერალმა ამის მიზეზად თავისი საქმეები დაასახელა, რომელიც ბარიტონს მრავლად აქვს და იმისთვის ნამდვილად არ სცალია, რომ გათანამედროვებულ “ქეთო და კოტესთან“ ერთად საქართველოს რეგიონებში იაროს.

ასეთია ლადო ათანელის მიერ გამოთქმული მიზეზი, რის გამოც ცნობილი ბარიტონი სპექტაკლში დაკავებულ ქართულ თანავარსკვლავედს გამოეთიშება. თუმცა რაშია რეალურად პრობლემა, ეს ბევრისთვის უცნობია. ბათუმში სპექტაკლის თამაში მომღერლებსა და მსახიობებს პრინც ალბერისთვის საგანგებოდ მოუწიათ. მაშინ სპექტაკლმა ტექნიკური ხარვეზებით ჩაიარა. ტექნიკური ხარვეზებით ჩატარდა “ქეთო და კოტეს“ თბილისური პრემიერაც. როგორც სპექტაკლში მონაწილე მომღერლები აცხადებდნენ, მათ თბილისურ პრემიერამდე გენერალური რეპეტიციის გავლაც კი ვერ მოასწრეს, ამიტომ შუა სპექტაკლზე ზოგს მიკროფონი გაეთიშა, ზოგსაც საკუთარი ხმა ნორმალურად არ ესმოდა. როგორც ჩანს, მომღერალი მსგავს გაუთვალისწინებელ პრობლემებს მიჩვეული არ არის, ამიტომ სპექტაკლში მონაწილეობის გაგრძელებაზე საბოლოოდ თქვა უარი და ამისთვის პირადი საქმეები მოიმიზეზა.

როგორც სპექტაკლის რეჟისორმა დავით დოიაშვილმა განაცხადა, ახლებურ “ქეთო და კოტეზე“ მოთხოვნა მთელი საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდია. დედაქალაქში ჩამოტანის შემდეგ, შემოქმედებითი ჯგუფი უკვე ფიქრობს ამ წარმოდგენის საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატანას. ჩანს, ლადო ათანელს არც იმის დრო აქვს და არც იმის განწყობა, საქართველოს რეგიონებში იმოგზაუროს.



სპექტაკლში “ქეთო და კოტე“ ქართული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან დაკავებული – ნინო ანანიაშვილი, ნანი ბრეგვაძე, პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, სოფო ნიჟარაძე, ეკა კახიანი, სტეფანე, აჩიკო სოლოღაშვილი, ნიკო ბერიძე, მირზა მოდებაძე, ლაურა რეხვიაშვილი, სუხიშვილები. ორმოქმედებიანი მიუზიკლი ვიქტორ დოლიძის ამავე სახელწოდებით ოპერის მიხედვით არის დადგმული. მასში გამოყენებულია არჩილ კერესელიძისა და შალვა თაქთაქიშვილის მუსიკალური თემები. ორიგინალური საორკესტრო ვერსიების ავტორი და დამდგმელი დირიჟორი ნიკა მემანიშვილი, იგივე ნიკოლოზ რაჭველია.

მსოფლიო ბარიტონი ლადო ათანელი ახალ დისკზე მუშაობს, რომელშიც არა საოპერო არიები, არამედ რომანსები შევა. სოლო დისკის პრეზენტაცია მომღერალს თბილისში აქვს დაგეგმილი. ახალი ალბომის წარდგინების შემდეგ კი ლადო ათანელი სოლოკონცერტსაც გამართავს.

დავით დოიაშვილისა და ნიკა მემანიშვილის მიერ გათანამედროვებული “ქეთო და კოტე“ რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე 14 ოქტომბრამდე იქნება წარმოდგენილი.

# ანსამბლი „შავნაბადა“ დიდ ბრიტანეთში მიდის

ეკა ირემაშვილი

ქართული ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი “შავნაბადა“ 15 ოქტომბერს დიდ ბრიტანეთში გასტროლზე მიემგზავრება. ქართულ კულტურას დიდ ბრიტანეთში ფონდის “ლამაზი მუსიკა“ და ავიაკომპანიის ბმი (ბრიტიშ მიდლენდ ინტერნეშენალ) ხელშეწყობით გაეცნობიან. ანსამბლი “შავნაბადა“ გასულ წელს საუკეთესო ფოლკლორულ ანსამბლად იქნა აღიარებული. იგი 12 წევრისგან შედგება. ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს, როგორც ფოლკლორულ სიმღერებს, ასევე საეკლესიო გალობასა და ქართულ ხალხურ ინსტრუმენტულ მუსიკასაც. ანსამლის ბრიტანული ტურნე ერთ თვეს გასტანს და გარდა კონცერტებისა, ანსამბლის წევრები ჩაატერებენ სემინარებს საგუნდო საზოგადებებისთვის და სკოლებისთვის. ლონდონის გარდა, “შავნაბადას“ კონცერტები დაგეგმილია ოქსფორდში, კემბრიჯსა და სხვადასხვა ქალაქებში.

ავიაკომპანია “ბმი“-ის ადგილობრივი წარმომადგენელის შტეფან შვარცის განცხადებით, მათი ავიაკომპანია მუდმივად მოწოდებულია გაამყაროს კულტურული ურთიერთობები დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის. ამისთვის ავიაკომპანიაში ბევრი რამ კეთდება და იგეგმება.

– “შავნაბადას“ რეპერტუარი ქართული კულტურის საუკეთესო ნიმუშია და ამიტომ ჩვენი კომპანია მხარს უჭერს ამ კულტურის ბრიტანელებისთვის გასცნობას, – აღნიშნავს შტეფან შვარცი.

ფონდის “ლამაზი მუსიკა“ თავმჯდომარე **სარა კობამი** კი აცხადებს:

– გასულ წელს “შავნაბადას“ ჰქონდა ტურნე დიდ ბრიტანეთში და მას მერე მათი მუსიკის მიმართ მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ წელსაც მოგვეწყო ტურნე ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქებში. გასული წლისგან განსხვავებით, ანსამბლი არა მარტო კონცერტებს გამართავს, არამედ სხვადასხვა სემინარებს ჩაატარებს ფოლკლორისა და საგუნდო ხელოვნების განხრით, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ბრიტანელების ცოდნას ქართული ფოლკლორის შესახებ.

# ესტრადის ვარსკვლავები მცხეთაში იმღერებენ

ეკა ირემაშვილი

14 ოქტომბერს საქართველოში მცხეთობა-სვეტიცხოვლობის დღესასწაული აღინიშნება. ამ დღესასწაულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია “კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისას“ “წოდებს. საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში ღვთისმსახურება შესრულდება. საზეიმო წირვალოცვა აღევლინება სვეტიცხოვლის ტაძარშიც. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღეს ასევე წმინდა მოციქულთა სწორის მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმინდა სიდონიასა და აბიათარის ხსენებასაც აღნიშნავს. გადმოცემის თანახმად, უფლის ჯვარცმის შემდეგ მისი კვართი წილად მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს ელიოზსა და ლონგინოზს ერგოთ, რომლებმაც სიწმინდე მცხეთაში ჩამოაბრძანეს. ელიოზის დამ, სიდონიამ უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სული განუტევა. იგი სიწმინდესთან ერთად დაკრძალეს. სიდონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა. მეოთხე საუკუნეში წმინდა მეფის მირიანის და დედოფალ ნანას მეფობის ჟამს კვიპაროსის ადგილზე ტაძრის მშენებლობა გადაწყვიტეს. კვიპაროსის ხისგან დამზადებული ერთ-ერთი სვეტი მშენებლებმა ვერ ამოძრავეს. იგი მხოლოდ წმინდა მოციქულთა სწორ ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარიც. ეს სვეტი ღვთის მიერ გაბრწყინდა და ჰაერში 12 წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა. ნათლის სვეტის თაყვანისსაცემად მთელი მცხეთა შეიკრიბა. ნათლის სვეტი სასწაულებს ახდენდა. ისტორიულად ამ დღეს იმართებოდა დიდი წირვა და მრავალი მლოცველი მოდიოდა საკლავითა და უსისხლო შესაწირავით. წირვის შემდეგ მლოცველები ტაძრის გალავანში შლიდნენ სუფრას და იმართებოდა პურობა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მცხეთობის დღესასწაული აღდგა და ოფიციალურად უქმე დღედ გამოცხადდა. ტრადიციულად ამ დღეს წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენს სვეტიცხოველში, ხოლო შემდეგ იმართება სახალხო სეირნობა მცხეთის ქუჩებში, საესტრადო და ხალხური შემოქმედების კონცერტები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები.

წელს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, 14 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულზე მცხეთობა უამრავი ღონისძიებაა დაგეგმილი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც რეგიონის, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ დაგეგმილია იმ საშენებლო პროექტების პრეზენტაცია, რომლებიც ქალაქ მცხეთაში მომავალი წლისთვის უნდა დასრულდეს. “საქპატენტის“, მცხეთის მუზეუმის, სამხარეო პოლიციისა და ადმინისტრაციული შენობების პრეზენტაცია მცხეთის ცენტრალური ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიასთან გაიმართება, რომელსაც მხარის გუბერნატორი და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრებიან. მცხეთის ცენტრალურ ქუჩაზე მცხეთის საჯარო სკოლებისა და კულტურის სახლების საშემოდგომო გამოფენები და სანახაობები ჩატარდება. ბავშვებისთვის გაიმართება ზღაპრის გმირების პერსონაჟების სანახაობითი წარმოდგენები, ჩატარდება სპორტული ღონისძიებები – ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, მინიფეხბურთი, მკლავჭიდი, ჭადრაკი და ნარდი. მოეწყობა ხალხური რეწვის, კერამიკის, თექისა და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. გაიმართება სახალხო სეირნობა, გამოიფინება საშემოდგომო ნობათი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე განლაგებული იქნება სამი სცენა, სადაც წარდგებიან როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. თეატრონის ტერიტორიაზე განლაგებული კვების ობიექტები სტუმრებს ქართული ტრადიციული კერძებით გაუმასპინძლდებიან. დღესასწაულის დასასრულს სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე გალაკონცერტი დაიწყება, რომელშიც ქართული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას.

# შემოდგომის „არტ-გენი“ გონიოში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

ზაფხულის „არტ გენის“ შემდეგ, მისი ორგანიზატორები, ამ სახალხო დღესასწაულის აღნიშვნას უკვე შემოდგომის სეზონზეც აპირებენ. 15 ოქტომბერს გონიოს ციხეში შემოდგომის „არტ გენი“ გაიმართება. ერთდღიან ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც ფესტივალის არჩებობის განმავლობაში საუკეთესოდ წარმოაჩენდნენ ქართული ფოლკლორის ტრადიციებს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ლენტეხის რაიონის, ჩოლურის თემის ფოლკლორული ანსამბლი “მიჟე ნარი“. ონის რაიონის ფოლკლორული ანსამბლი “რაჭა“, ახმეტის რაიონის, პანკისის ხეობის ფოლკლორული ანსამბლი “პანკისი“, ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხის უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი “ოდილა“, ზუგდიდის რაიონის ფოლკლორული ანსამბლი “ოდოია“, ოზურგეთის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი “იადონი“, ხელვაჩაურის რაიონის, მაჭახელის ხეობის უხუცესთა გუნდი “მაჭახელა“, ქედის რაიონის ფოლკლორული გუნდი “ელესა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი “ფესვები“, ბათუმელი ახალგაზრდა პოეტები, ხელვაჩაურის რაიონის ფოლკლორული ანსამბლი “აჭარა“, ხელვაჩაურის რაიონის ქორეოგრაფიული ანსამბლი “კოლხეთი“, ხელვაჩაურის რაიონის ფოლკლორული ანსამბლი “ნიგალი“ და ანსამბლი “ჩვენებურები“.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ხალხური რეწვის გამოფენებიც, სადაც წარმოდგენილი იქნება ნამუშევრები, როგორც ადგილობრივი, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ფესტივალ „არტ გენის“ ძირითადი მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ასევე ყოველი მოძიებული მასალის დაარქივება და შენახვა მომავალი თაობებისთვის. ყოველწლიური ფესტივალის ფარგლებში მისი ორგანიზატორების მიერ ეწყობა კონცერტები და წარმოდგენები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით, ტარდება ხალხური რეწვისა და სახვითი ხელოვნების გამოფენა-გაყიდვები. ჩვეულებრივ ფესტივალი იწყება საქართველოს რეგიონებიდან და ტრადიციულად იხურება თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

– დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალი “არტ-გენი“, მისი 7 წლის არსებობის თავზე არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დასწრებადი ღონისძიება საქართველოში, რომელიც ღიაა ყველა თაობისთვის, – აცხადებს ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა.

ჯგუფი „არტ გენი“ 2004 წლის დასაწყისში შეიქმნა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-კულტურული პრობლემების დაფიქსირება და მათი წარმოჩენა. თავიდანვე ჯგუფის პრიორიტეტად განისაზღვრა საოჯახო ფოლკლორის და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია. აგრეთვე ჩვენი სურვილი იყო აღგვედგინა ხიდი ქალაქსა და სოფელს შორის, ჩამოგვეტანა სოფლიდან ქალაქში ტრადიციული კულტურა, რაც ერთის მხრივ ახალგაზრდობაში გააღვივებდა ინტერესს მათი ისტორიისა და ტრადიციების მიმართ, მეორეს მხრივ დაანახებდა სოფლის მაცხოვრებლებს მათ მიერ შენარჩუნებული ტრადიციებისადმი ინტერესსა და მოთხოვნას.

– ამისთვის გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ყოველწლიური სახალხო ფესტივალი “არტ-გენი“, რომელიც ტრადიციულად იწყება ექსპედიციებით და ღონისძიებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, დასკვნითი ნაწილი კი იმართება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ექსპედიციების შედეგად მოძიებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა, – აღნიშნავს ზუმბა.

ფესტივალის 8 წლის არსებობის განმავლობაში მის ბაზაზე ჩატარდა 100-ზე მეტი კონცერტი და ღონისძიება. დღეს ის წარმოადგენს ქვეყანაში ერთერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად საშუალოდ 30–40 ათასი ადამიანი ესწრება.

ყოველ წელს ფესტივალი იძენს ახალ აქტუალურ თემას, რომელიც მას თანსდევს შემდგომშიც. პირველი ფესტივალის თემა იყო საოჯახო ფოლკლორი, შემდგომ წლებში კი ფესტივალის მთავარი თემები გახდა ხალხური რეწვა, კავკასიური სახლი, ეკო ტურიზმი, საქართველოს რეგიონები და მიგრაციის პრობლემები, მსოფლიო ტრადიციული კულტურები, საქართველოს ეკოლოგია და ბიო კულტურები,

ქართული ენა დამწერლობა. წლევანდელი „არტ გენის“ თემად კი მისმა ორგანიზატორებმა განათლება შეარჩიეს. „არტ გენის“ ბაზაზე იქმნება ფესტივალის კურრატორთა მიერ მოძიებული მასალის აუდიო, ვიდეო და ფოტო არქივი. ფესტივალის არსებობის მანძილზე გამოცემულია წიგნი “საქართველოს რეწვის ოსტატები“, ფილმები “ადილა“ და “მოგზაურობა ფოლკლორში“, რეჟისორი გია დიასამიძე, სიდი “ქართული საოჯახო ფოლკლორი“, “არტ-გენი“. გასული წლიდან კი გამოიცემა კვარტალური ჟურნალი “არტ-გენი“.

პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. წლევანდელი ფესტივალი მირზაანში ნიკალას სახლ-მუზეუმში გაიხსნა, შემდეგ ქალაქ რუსთავში გადაინაცვლა და ფოთში დაიხურა. შემოდგომის „არტ გენი“ კი 15 ოქტომბერს გონიოს ციხეზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელშეწყობით ჩატარდება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს; 2. ქვიანი, კლდოვანი ნიადაგი, ადგილი; 3. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 4. სამხრეთკორეული გემთმშენებელი კონცერნი; 5. ალმასების მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 7. კამეჩის ნაშიერი; 11. პოლონური ხალხური ცეკვა; 13. სახიფათო უბნებზე გემების გატარების სპეციალისტი; 15. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 16. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 19. უნგრული ღვინო.

**თარაზულად**: 6. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 8. საქართველოში გავრცელებული, მოწითალო ფერის, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 9. ორადგილიანი ველოსიპედი; 10. ერთ ადამიანში გაერთიანებული თვისებათა სიბრძნის, სიმამაცის, ავტორიტეტის საერთო სახელწოდება; 12. საჭმელი სოკო; 14. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. შეხლა-შემოხლა, უსიამოვნო შემთხვევა; 20. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 22. ომონიმების გარითმული ლექსი; 23. ბავშვთა ექიმი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შამპანი; 2. ჩიბუხი; 3. ოზურგეთი; 4. სიჭინავა; 7. ვანდალები; 8. კლინტონი; 12. ვერდიქტი; 14. “კუკარაჩა“; 16. ესკარპი; 17. ნერონი; 19. კობე; 20. პიონ.

**თარაზულად**: 5. მალაქიტი; 6. “რეზონანსი“; 9. საკურა; 10. ხორაგი; 11. “ციცკა“; 13. გეიმი; 15. ბულაძე; 18. “სასპი“; 21. ჰამილტონი; 22. რაციონი; 23. მეჯლისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მსგეფსი; 2. “დარიკო“; 3. დეკადანსი; 4. მადერა; 5. სამანგიო; 7. არვე; 11. დიადემა; 13. ავიონი; 15. გროფი; 16. ტეიმა; 18. გაუჩო; 19. “ლაციო“.

**თარაზულად**: 6. “სუზანი“; 8. წლევეირი; 9. ბოდრუმი; 10. ფაზენდა; 12. გოთუა; 14. ბადაგი; 17. სამეგრელო; 20. ევერონი; 21. აფიორა; 22. ჩელინი; 23. ფართინგი.

# სომხები უეფას დაჩაგვრას სდებენ ბრალად

ვინც ირლანდია-სომხეთის მატჩი ნახა, ალბათ, ყველას გაახსენდებოდა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩი საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის, როდესაც ფრანგებმა დამატებით დროში გოლი მას შემდეგ გაიტანეს, როდესაც ტიერი ანრიმ ხელით ორჯერ ითამაშა. ეს ფაქტი სომხებმაც გაიხსენეს და ღიად აცხადებენ, რომ უეფას ირლანდიელთა ვალი ჰქონდა და მათთან შეხვედრაში სომხები დაჩაგრეს.

რა მოხდა ირლანდია–სომხეთის მატჩის 25–ე წუთზე? ირლანდიელთა შემტევმა საიმონ კოქსმა ხელით გაიჩერა ბურთი და საჯარიმოს გარეთ დასწრებაზე გამოსულ ბერეზოვსკის დაურტყა, მეკარეს მკერდში მოხვდა ბურთი, ესპანელმა მსაჯმა იტურალდე გონსალესმა კი ჩათვალა, რომ ხელით თამაში იყო და მეკარეს წითელი ბარათი აუნთო. ბერეზოვსკის ხელშიც რომ მოხვედროდა, მანამდე კოქსზე ჯარიმა იყო. ასეა თუ ისე, იტურალდე გონსალესმა სტუმართა მეკარე რომან ბერეზოვსკი აბსოლუტურად უსამართლოდ გააძევა.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, საბოლოოდ კი, ირლანდიამ 2:1 იმარჯვა და ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფშიც გავიდა. სომხეთი მხოლოდ მოგების შემთხვევაში გადიოდა პლეი ოფში.

ცხადია, სომხები ამ ფაქტს ასე არ დატოვებდნენ და მათი მხრიდან რეაგირებას არ დაუყოვნებია. სლოვაკეთში სომხური გაერთიანების ლიდერმა აშოტ გრიგორიანმა განაცხადა, იტურალდე გონსალესს დავალებული ჰქონდა ირლანდიის პლეი ოფში გაყვანაო.

— მატჩის წინა დღეს, ანუ ორშაბათს, ჩემთან ოფისში მოვიდნენ სლოვაკეთის ფეხბურთის ხელმძღვანელები და მითხრეს, ირლანდია-სომხეთის მატჩის გარშემო უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ვფლობთო. და მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მსაჯი ყველაფერს იზამდა, რათა ირლანდია ჯგუფში არ დარჩენილიყო. რატომ? უეფა ვალშია ირლანდიელებთან იმის გამო, რომ ამ ნაკრებს მუნდიალ-2010-ის პლეი ოფში საფრანგეთთან ცუდად უმსაჯეს. კერძოდ, მაშინ ტიერი ანრიმ ხელით გაიჩერა ბურთი და უილიამ გალასმაც ამის შემდეგ გაიტანა გადამწყვეტი გოლი, — აცხადებს გრიგორიანი.

**მ. ჟ.**

# გიორგი თავდგირიძე: „საფრანგეთის შუამავლობით რუსეთთან ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

თავისთავად კონფლიქტი მიდის ლოგიკურ დასასრულამდე, ანუ საბრძოლო მოქმედებების განახლებამდე. თუმცა, ცალკეული პოლიტიკოსების ძალისხმევით ხდება მისი გადადება, ან შენელება. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, შესაძლებელია საბრძოლო მოქმედებები არ დაიწყოს. თუმცა, მსოფლიოს არ აქვს გამოგონილი რაიმე რეცეპტი, რომლითაც კონფლიქტებს თავიდან აირიდებენ. მაგალითად, ერაყშიც არ იყო უმნიშვნელო კონფლიქტი; იგივე ავღანეთში მიმდინარე მისიაც რომ ავიღოთ, იქაც ომი მიმდინარეობს; 10-15 წლის წინ ბალკანეთში მიმდინარებდა ომი. მიუხედავად იმისა, თუ რა ძალისხმევას გამოიჩენს მსოფლიო საზოგადოება და კაცობრიობა, კონფლიქტები მაინც ხდება და მოხდება. კონფლიქტის მასშტაბები დამოკიდებულია ამა თუ იმ კონფლიქტის ისტორიაზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე და გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტზეც. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე კონფლიქტში ბევრი ქვეყნის ინტერესი იკვეთება. მასში ბევრი ქვეყანა აღმოჩნდება ჩათრეული.

***— ხელისუფლებას შეუძლია სარკოზის ვიზიტი, საფრანგეთთან ჩვენი ურთიერთობები და საფრანგეთის მეგობრობა რუსეთთან, გამოიყენოს არა მარტო შუამავლის ფუნქციის შესასრულებლად, არამედ ქართული შეიარაღებული ძალების აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად?***

—არა მგონია, ჩვენ გვჭირდებოდეს ვინმე შუამავალი რუსეთთან. რუსეთთან დღეს ვერანაირი შუამავალი ვერ მიგვაღწევინებს მიზანს. ერთადერთი, შუამავლებს შეუძლიათ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დროებით შეარბილონ.

# რესპუბლიკელებმა ბარაქ ობამას კანონპროექტი დაიწუნეს



აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა სენატში ბარაქ ობამას მიერ უმუშევრობის წინააღმდეგ შემუშავებული კანონპროექტი “ჩააგდეს“.

Kკანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც პრეზიდენტის წინადადების რეალიზაციისათვის 447 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა, ხმა 46-მა რესპუბლიკელმა და ორმა დემოკრატმა მისცა. კანონპროექტის გასასვლელად 100-ადგილიან სენატში 60 ხმის მოგროვება იყო საჭირო.

კენჭისყრის შემდეგ ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ მისი კანონპროექტის ჩავარდნა ბრძოლის შეწყვეტას სულაც არ ნიშნავს.

რესპუბლიკელები პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული პაკეტის წინააღმდეგ იმიტომ გამოვიდნენ, რომ იგი მნიშვნელოვან სახელმწიფო ხარჯებს, გარდა ამისა, ყველაზე უზრუნველყოფილი ამერიკელებისათვის გადასახადების გაზრდას ითვალისწინებს.

კანონპროექტი მიზნად აშშ-ში უმუშევრობის შემცირებას ისახავს, რაც ამჟამად 9.1%-ს აღწევს.

აშშ-ის პრეზიდენტი მთელ ქვეყანაში რამდენიმე კვირის განმავლობაში მოგზაურობდა და კანონპროექტს აქტიურ პროპაგანდას უწევდა. Mმიუხედავად ამისა, სენატში, სადაც უმრავლესობას დემოკრატები შეადგენენ, ობამას არც ერთმა რესპუბლიკელმა არ დაუჭირა მხარი.

კანონპროექტი ამერიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სამსახურიდან დათხოვნის თავიდან აცილების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დახმარების გასაწევად 175 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

კენჭისყრის შემდეგ ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ იგი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და სენატში დემოკრატების ლიდერ გარი რიდთან ერთად კანონპროექტის ცალკეული პუნქტების მიღებას შეეცდება.

პიტსბურგში პროფკავშირების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ, მისი აზრით, რესპუბლიკელებს გაუჭირდებათ იმ მიზეზების ახსნა, რის გამოც მათ კანონპროექტის წინააღმდეგ უყარეს კენჭი, გარდა იმ მიზეზისა, რომ კანონპროექტი სენატში პრეზიდენტმა წარადგინა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დამოუკიდებელი ექსპერტების, ეკონომისტების მონაცემები მოიშველია, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ახალი კანონპროექტი 1.9 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს.

პენსილვანიაში გამართული შეხვედრის შემდეგ ბარაქ ობამა ფლორიდაში პარტიის ხაზინისათვის სახსრების შეგროვების კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად გაემართა. ორლანდოს ცენტრში, პაბში იგი ოთხ უმუშევარ მშენებელს შეხვდა და მათთან ერთად ლუდი დალია. მშენებლებმა ბადვაიზერი ამჯობინეს, პრეზიდენტმა — გინესი.

Dდემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების თქმით, რესპუბლიკელები უფრო პრეზიდენტისათვის ზიანის მიყენებას ცდილობენ და არა 1930-იანი წლების შემდგომი პერიოდის უდიდესი რეცესიდან ქვეყნის გამოყვანის ხელშეწყობას.

რესპუბლიკელებს, თავის მხრივ, მიაჩნიათ, რომ ახალი სამუშაო ადგილები მდიდარი ამერიკელების დაბეგვრის კი არა, სახელმწიფოს მიერ ბიზნესის რეგულირების შესუსტების ხარჯზე უნდა შეიქმნას.

ისინი აცხადებენ, რომ ობამას მიერ 2009 წელს წარმოდგენილ ეკონომიკის დახმარების ბოლო პაკეტთან შედარებით ახალი პროექტი რაიმე ახალს არაფერს შეიცავს.

ამჟამად სამუშაოს არმქონე 14 მილიონი ამერიკელიდან 45% ნახევარ წელზე ან უფრო მეტი დროის განმავლობაში უმუშევარია.

**გ.თ.**

# ჩინურ სასწაულს ნახევარი წლის იუბილე გადაუხადეს



ჩინეთში, სადაც დოლარის მილიონერების რიცხვმა უკვე მილიონს გადააჭარბა, “ჩინური სასწაულის“, სოფელ ჰუასის 50-წლის იუბილეს აღნიშვნა გადაწყვიტეს.

ამ სოფლის 2000 ათასი მცხოვრებიდან თითოეულს საბანკო ანგარიშზე არანაკლებ 250 ათასი დოლარი ერიცხება, მინიმუმ ერთი უფასო ავტომობილი და დიდი სახლი აქვს. ისინი კომპანია “ჰუასის“ დამფუძნებლები არიან, რომელიც მეტალურგიის, საფეიქრო მრეწველობის, საოფისე და საბინაო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე ტურიზმის სფეროში საქმიანობს.

ბოლო ხუთწლედის განმავლობაში კომპანია “ჰუასის“ შემოსავალმა 45 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ჩინური სასწაულის სანახავად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან წელიწადში ორ მილიონამდე ადამიანი ჩამოდის. ამ ტურისტებისათვის ცოტა ხნის წინ სოფელში სასტუმროს 329-სართულიანი შენობა ააშენეს. იგი სოფლის გარშემო ასობით კილომეტრის მანძილზე ერთადერთ ცათამბჯენად იქცა.

სასტუმროს მისაღები ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული დეტალებით არის მორთული, მე-60 სართულზე იატაკი ოქროს პანელებით არის მოპირკეთებული, ხოლო სასტუმროს შიგნით ოქროს კუროს ერთტონიანი ქანდაკება დგას.

ოდესღაც ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარე სოფელი ჰუასი ჩვეულებრივი ფერმერული კოოპერატივი იყო, რომლის წევრებიც მინდორში მძიმე შრომით ირჩენდნენ თავს. ეს დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და ეს კოოპერატივის უცვლელი ხელმძღვანელის უ ჟენბაოს დამსახურებაა.

იგი წარსულში ჩინეთის კომპარტიის ლიდერი იყო, ამ პოსტზე 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა. ამჟამად იგი 84 წლისაა, უკვე საპატიო პენსიონერია, მაგრამ მაინც სოფლის ლიდერად ითვლება. ყოველდღიურად მისი მიმართვების მოსასმენად ადგილობრივ სალექციო დარბაზში ათობით ადამიანი მიდის.

ჟენბაოსთვის ახლად გახსნილი ცათამბჯენი სოფლის განვითარების მთავარ სიმბოლოს წარმოადგენს. მან სპეციალურად გამოარკვია, თუ რომელი შენობა იყო პეკინში ყველაზე მაღალი და სოფლისათვის ზუსტად ისეთივე შეუკვეთა.

ცათამბჯენში განთავსებულ სასტუმროს სოფლის ყველა მცხოვრების დატევა შეუძლია.

გარდა ძირძველი ჰუასელებისა, სოფელში მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული 35 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე ჰუასელებად ითვლებიან. ისინი ადგილობრივ იერარქიულ კიბეზე ერთი საფეხურით დაბლა იმყოფებიან. პირამიდის ძირში კი გასტარბაიტერები, ჩინეთის სხვადასხვა კუთხიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოსულები დგანან. სწორედ ისინი მუშაობენ საფეიქრო თუ სხვა სამრეწველო საწარმოებში. მათი შემოსავალი ჩინეთის მასშტაბებით ურიგო არ არის, 500 დოლარს შეადგენს და ამიტომ სოფელი მუშახელის ნაკლებობას არ უჩივის.

Mმეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში მილიარდების შოვნის შემდეგ ჰუასელებმა ადგილობრივ ეკოლოგიაზე ზრუნვა და სოფლის ბაღნარად გადაქცევა გადაწყვიტეს. ამიტომ მავნე საწარმოები დახურეს და ამჟამად მთავარ ყურადღებას ტურიზმის განვითარებას უთმობენ.

ექსკურსიებისათვის უკვე შეიძინეს რამდენიმე ვერტმფრენი და ოცამდე თვითმფრინავი.

ამჟამად ბიზნეს-კონგლომერატი, რომლის მფლობელებიც ჰუასის მცხოვრებლები არიან და რომელსაც უ ჟანბაო ხელმძღვანელობს თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, ტურისტული, აგროსამრეწველო, სატრანსპორტო და თამბაქოს კომპანიებისაგან შედგება.

კომპანია ჰუასის ბრუნვის მოცულობა კვლავინდებურად მილიარდებს აღწევს. სოფლის მოსახლეობა კომპანიის თანამფლობელია და მისი ხელმძღვანელობისაგან დივიდენდებს იღებს. ჩინეთის კომპარტიას ეს სოფელი მარქსიზმ-ლენინიზმისა და კაპიტალიზმის სიმბიოზად მიაჩნია, თუმცა, ეს სოფელი უფრო მოზრდილ ნაციონალურ კორპორაციას ჰგავს, რომლის აქციების მფლობელებიცა და ხელმძღვანელებიც, უბრალოდ, ერთ სოფელში ცხოვრობენ.

**გ.თ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი იუწყება, რომ მსახიობ ვალერი ტორონჯაძეს გარდაეცვალა მამა და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი

**კიაზო ნახუცრიშვილი**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ფინანსისტი, ტყვარჩელის ბანკის მმართველი, დევნილობაში ტყვარჩელის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**გიორგი (ბოჩია) კორსანტია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და აპარატის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავას დეიდის

**გული არახამია-ქარდავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 14 ოქტომბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **10.00 მცხეთობა-სვეტიცხოვლობა** **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **16.00, 20.00** მოამბე **17.00** ჩვენი ფერმა **18.00** ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **19.05** სერ. "**ვილმენის საქმე**" **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **22.00** მე-**15** საერთ. ფესტივალი "ჩვენებურები" **00.00** კავკასუს ლაივი **01.00** მხ. ფ."**ბიძაშვილები**" (**12**) (ი. როსელინი) (სუბტ.) **03.00** მოამბე **03.20** სერ. "**ზიანი**" (**12**) **04.20** დოკ. ფილმი **04.50** მხ. ფილმი "**უკანასკნელი მაგნატი**" (**12**) (რ. დე ნირო)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00** მცხეთობა-სვეტიცხოვლობა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. "**ზიანი**" **20.00** მხ. ფ."**კოლდიცი**" **3-4**ს. **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **02.00** მხ. ფილმი "**ის, რასაც სიყვარული ჰქვია**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**როსალინდა**" **11.00** სერ. "**კლონი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ ბესტი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**მოპარული ბედნიერება**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერ. "**ქალის სიტყვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. "**ყავა და ლუდი**" მე-**15**ს. **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**ევა ლუნა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ."**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** თოქ-შოუ **00.30** ქრონიკა **01.00** ფლეიბოი იმედზე **01.30** მხ. ფილმი "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**" (ო. ჰეპბერნი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფ."**საქმიანი ქალი**" (**15**) (მ. გრიფიტი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**მარინა**" მე-**19**ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. "**დაკარგული ქვეყანა 2**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გუნდი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**მისი სულის მუსიკა**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**სოპრანოს კლანი**" **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ."**მხოლოდ შენ**" **15.15** სერ. "**ექიმი ქმორი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** განთიადი **10.00 სვეტიცხოვლობა**. ტრანსლაცია მცხეთიდან **13.20** დოკ. ფილმი "მაცხოვრის კვართი" **13.40** კონცერტი – ქართული სული. მე-**2**ნ. **15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფ."**ქეთო და კოტე**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი "**ფიროსმანი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** დოკ. ფ. "სვეტიცხოველი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი "**ქვევრი**" **23.40** დოკ. ფილმი "მცხეთა" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6613
- ევრო — 2,2702
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,057

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 17–23, ღამით — 9–12

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 17–20, ღამით — 12–14

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 16–17, ღამით — 1–11

## ამინდის პროგნოზი 14 ოქტომბრისთვის




# 11 ოქტომბრიდან

„ახალ თაობასთან" ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი"

მე-13 ტომი

**უნიკალური პროექტი**

# ჩარლი ჩაპლინი

**უკვე გამოცემულია „100 წიგნის" 11 ტომი. ესენია: 1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარქესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი, 12. კოკო შანელი**

**გამოსაცემად მზადაა: მარკო პოლო, ბიტლზი, რეიგანი.**

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.




## გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი

# ოთხი საგზურის ოთხი წყვილი გაირკვა



პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გაიმართა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის კენჭისყრა, რომლის შედეგად გაირკვა ის 4 წყვილი, რომელმაც დარჩენილი 4 საგზური უნდა გაითამაშოს. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

თურქეთი-ხორვატია, ესტონეთი-ირლანდია, ჩეხეთი-ჩერნოგორია, ბოსნია-პორტუგალია.

ბოსნიელები ისევ პორტუგალიელებს გადაეყარნენ, რომლებსაც მუნდიალ-2010-ის პლეი ოფშიც შეხვდნენ და ორივე მატჩი 0:1 წააგეს.

ხორვატებს რევანშის საშუალება ეძლევათ თურქებთან — ეს ორი ნაკრები ევრო-2008-ის მეოთხედფინალში შეხვდა ერთმანეთს, ბალკანელებმა 119-ე წუთზე გახსნეს ანგარიში და თითქოს მოგება გარდაუვალი იყო, თუმცა, ერთ წუთში თურქებმა გაათანაბრეს და პენალტების სერიაშიც იმარჯვეს.

ესტონეთი და ჩერნოგორია პირველად არიან ფინალური ეტაპის ზღვარზე. განსაკუთრებით სენსაციური იყო ბალტიისპირელთა აქ მოხვედრა და ვნახოთ, თუ გაიმეორებენ თავიანთი მეზობლების, ლატვიელების წარმატებას და მოახერხებენ თუ არა ირლანდიელთა ბარიერის დაძლევას. ფავორიტი კი უდავოდ ჯოვანი ტრაპატონის გუნდია.

რაც შეეხება ჩეხეთ-ჩერნოგორიის წყვილს, აქ ფავორიტის დასახელება უფრო ძნელია. მართალია, ჩეხეთი უფრო გამოცდილია, მაგრამ შესარჩევ ჯგუფში ბალკანელებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს.

პირველი მატჩები 11–12 ნოემბერს გაიმართება, საპასუხოები კი — 15 ნოემბერს. ფინალური ეტაპის კენჭისყრა 2 დეკემბერს იქნება კიევში.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი 14 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**შემოქმედებითი დღეა.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, თავის რეალიზებას მოახერხებთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** — არ აჩქარდეთ, გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ანაზღაურება შესაბამისი იქნება. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — მოერიდეთ უცხო პირებს, შეიძლება მოგატყუონ. **მერწყული** — ხალხის მოხიბვლას მოახერხებთ, კარგად გამოგივათ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 2. შტატი აშშ-ში; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. პლანეტის თანამგზავრი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. ძალიან ბნელი, უკუნეთი; 12. აეროპორტი მილანში; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. ქანების სანგრევი ორწვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 19. ცხენების ჯოგი; 20. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული.

**თარაზულად**: 5. აფრიკის სახელმწიფო სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. წყლის საათი; 9. დახვეული, გრძელი თმა; 10. ღვინის ვაჭარი ძველად; 11. პურეული მცენარე; 13. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 18. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 21. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 23. ძველი ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## იუმორი



— პეტრე დღეში 20 სიგარეტს ეწეოდა. პავლე დღეში 15 სიგარეტს ეწევა. შეკითხვა: რატომ არ აინტერესებს პავლეს ის, რომ პეტრეზე წარსულ დროში ლაპარაკობენ?

***

— ეს რა დაცურავს იქ, ზედაპირზე? ნუთუ...

— მიხვდით, ეს საზოგადოების ელიტაა...

***

— აღარ მახსოვს, სადღაც წავიკითე, რომ ფიკუსი უკეთ იზრდება, თუკი ელაპარაკები. გუშინ სახლს ვალაგებდი, ფიკუსის ქოთანი დამივარდა, ფეხზე დამეცა და ათი წუთი გაზრდაში ვეხმარებოდი...

***

პარიკმახერმა კლიენტის პარსვა დაამთავრა და ლოსიონი აპკურა. უცბად კლიენტი აყვირდა:

— ამ ნაგავს ნუ მასხამ. ჩემი ცოლი ამბობს, რომ მას ფრანგული ბორდელების სუნი ასდის.

რიგში მდგარი მეორე კლიენტი პარიკმახერს ეუბნება:

— შეგიძლია, მე მაპკურო ეგ ლოსიონი, ჩემს ცოლს ფრანგულ ბორდელში არასდროს უმუშავია...

***

— ორმოცს გადააბიჯეთ? შეკითხვაზე, "რამდენი წლის ხართ", დარცხვენილი პასუხობთ, რომ ოცდაათზე ოდნავ მეტის ხართ? გინდათ, რომ მათ თვალში ასაკთან შედარებით 20 წლით ახალგაზრდად გამოიყურებოდეთ? რომ თქვენი ახალგაზრდული გარეგნობით ყველა აღტაცებული დარჩეს? უთხარით, რომ სამოცის ხართ...

***

— გოგონებო, თუ თქვენს დანახვაზე ახალგაზრდა იდიოტივით იქცევა,

ა. იდიოტია.

ბ. შეუყვარდით.

გ. იდიოტია და შეუყვარდით.

***

— იცით თუ არა, რომ ადამიანი ნამდვილ გინებას მხოლოდ მანქანის საჭესთან დაჯდომის შემდეგ სწავლობს?

**გ. თ.**

## ტესტი

## ხართ თუ არა თქვენს პარტნიორზე დამოკიდებული



1. როგორ გგონიათ, შეგიძლიათ თუ არა, იყოთ ბედნიერი მარტოობისას?

2. გესაჭიროებათ თუ არა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რათა თქვენი ცხოვრება უფრო სავსე და შინაარსიანი გახდეს?

3. არის თუ არა შესაფერისი პარტნიორის ძებნა თქვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიზანი?

4. ხართ თუ არა ეჭვიანი?

5. ხშირად გიჩნდებათ თქვენი პარტნიორით უკმაყოფილების გრძნობა?

6. გესაჭიროებათ თუ არა სიყვარულის მუდმივი ახსნა?

7. თუ არის დაკავშირებული თქვენი იმედები და ოცნებები იმ ადამიანთან, რომელსაც ამჟამად ხვდებით?

8. ქმნით თუ არა საყვარელი ადამიანისაგან კერპს?

9. გაგაჩნიათ თუ არა სექსუალური პრობლემები (ლტოლვის შენელება?)

10. ცდილობთ თუ არა თქვენი ხასიათის ან ჩვევების შეცვლას თქვენი პარტნიორის ხასიათის შესაბამისად?

11. თუ განიცდით მუდმივ შიშს, რომ შეიძლება საყვარელმა ადამიანმა მიგატოვოთ?

12. გრძნობთ თუ არა პარტნიორზე დამოკიდებულებას?

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-4 ქულა:** შეიძლება გარკვეული პრობლემები გაქვთ პარტნიორთან ურთიერთობაში ან უახლოეს მომავალში გაგიჩნდეთ. ამიტომაც ფრთხილად იყავით.

**5 და მეტი ქულა**: სიყვარულში მონობისთვის ხართ განწირული. ამ ვირუსმა უკვე შემოაღწია თქვენს ურთიერთობაში. თქვენი პარტნიორი უტიფრად ცდილობს თქვენი გრძნობების ექსპლუატირებას.

**გ. თ.**